# საქართველოს რესპუბლიკა

წელიწადი პირველი

ფასი 50 კაპ.

მთავრობის მოამბე

ყოველდღიური გაზეთი

№ 76 კვირა, 27 ოქტომბერი, 1918 წ. № 76


ამ ნომერში ექვსი გვერდია


მთავრობის მოამბე ყოველდღიური გაზეთი
(ოფიციალური და არა ოფიციალური განყოფილებით)

## „საქართველოს რესპუბლიკა“

ღირს ერთი თვით 10 მ., ცალკე ნომერი ყველგან 50 კაპ.
სავალდებულო განცხადებანი დადგენილი ნიხრით, კერძო განცხადებანი შეთანხმებით.
გაზეთზე ხელის მოწერა მიიღება დილის 10—3 საათამდე.
(ბარონის ქუჩა № 6, ტელეფონი—1—82.


ოქტომბრის 25 საღამოს 6 საათზე გარდაიცვალა

**რაფაელ ნიკოლოზის ძე ყაზბეგი**

რასაც მწუხარებით იუწყებიან გარდაცვალებულის დები და ძმები. პანაშვიდი საღამოს 7 საათზე გარდაცვალებულის ბინაზე, დიდი მთავრის ქ., № 50. ცხედარს გამოასვენებენ ორშაბათს, ოქტომბრის 28, დილის $9^1/_2$ საათზე დიდუბის სასაფლაოზე.

---

ტფილისის საადგილ-მამულო ბანკის ზედამხედველი კომიტეტი და გამგეობა ღრმა მწუხარებით აუწყებენ ზედამხედველი კომიტეტის წევრის

**რაფაელ ნიკოლოზის ძე ყაზბეგის**

გარდაცვალებას ქ. ტფილისში 25 ოქტომბერს.

---

კახეთის რკინის გზის საზოგადოების გამგეობა და სამმართველო მწუხარებით იუწყებიან, რომ 25 ოქტომბერს გარდაიცვალა ამავე საზოგადოების გამგეობის წევრი

**ინჟინერი რაფაელ ნიკოლოზის ძე ყაზბეგი.**

---

ტფილისის საადგილ-მამულო ბანკის ზედამხედველი კომიტეტი და გამგეობა ღრმა მწუხარებით აუწყებენ ზედამხედველი კომიტეტის წევრის

**ალექსანდრე იოსების ძე კობიევის**

გარდაცვალებას ქ. ტფილისში.

---

დღეს, 27 ოქტომბერს დილის 10 საათ. წმ. ნინოს ეკლესიაში გადახდილი იქნება ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი დაუვიწყარ და ძვირფას

**ვასილ (ვასო) ნიკოლოზის ძე ზუბიაშვილის**

სულის მოსახსენებლად, რასაც მწუხარებით აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობთ: მეუღლე ანასტასია და მამა ნიკოლოზ ზუბიაშვილები, დაი მარუსა და სიძე ალექსანდრე ომიაძეები და ქრისტეფლის მამობილი შიო მღვიმელი მეუღლით და შვილებით.
947 1—1

## ცენტრალური საადგილ-მამულო გამგეობა

ამითი აცხადებს, რომ ამ წლის 31 ოქტომბერს 12 საათზე დღისით ტფილისის მაზრის კომისარიატში (მიხაილის პროსპექტზედ სახლი № 111) დანიშნულია შეჯიბრება თევზის დასაჭერ წყლების ყარაიაზის სახაზინო ტბაში, ვადით 1 ნოემბრიდან 1918 წ. 14 ივნისამდინ 1919 წ. მსურველთ შეუძლიანთ წარმოადგინონ დაბეჭდილი კონვერტები თავისი პირობებით. იჯარით გაცემა დაიწყება ფასიდან 5,300 მან. დაწვრილებით პირობების გაგება შეიძლება ყოველ დღე დილით 9 საათ. 3 საათამდე ცენტრალურ საადგილ-მამულო გამგეობის კანცელარიაში, პეტრეს ქუჩა № 22 ტფილისის კომისარიატში, მიხეილის პროსპ. სახლი № 111. ვისაც კი სურს პირადი შეჯიბრება, უნდა წარმოადგინოს განცხადები მანეთიანი მარკით
947 1—1

---

მე II-ე წელ. **ვაჟთა და ქალთა გიმნაზია** მე II-ე წელ.

## ნ. გ. თევზაძის

უფლებიანი, ახალი ტიპის, 8 კლასის კურსი გაივლება 4 წელიწადში.
**ძმების ქ., № 11.**

თხოვნები მიიღება ყველა კლასებში. საგნების სწავლება რუსულად. ქართველებისთვის—საქართველოს ისტორია და ლიტერატურა სავალდებულო საგნებია. მეცადინეობა საღამოობით. მოწაფეები მიიღებიან განურჩევლად ეროვნებისა და ხნისა მოწმობებით შესაფერ კლასებში, ვისაც მოწმობა არ აქვს—გამოცდით. მეხუთე კლასში გამოუცდელად მიიღებიან ის პირნი, რომლებსაც გათავებული აქვთ უმაღლეს დაწყებითი სასწავლებელი ან და სხვა შესაფერი კურსის სასწავლებელი. კანცელარია გაღებულია საღამოს 4—8 ს. გიმნაზია აძლევს მოწაფეებს უფასო სახელმძღვანელოებს. ყოველდღიური მეცადინეობა დაიწყო 2 ენკენისთვიდან.

1917/18 წელს გიმნაზიამ მოწაფეებს გაათავებია პირველად.
50—49 გიმნაზიის გამგე ს. ნ. შულგინი.

---

## ტფილისის სასულიერო სემინარიის გამგეობა

აცხადებს, რომ აღნიშნულ სემინარიაში თავისუფალია მატემატიკური საგნების და ფიზიკის მასწავლებლის შტატის ადგილი; სწავლება ყველა კლასებში სწარმოებს ქართულ ენაზე.

მსურველებმა შესაფერი თხოვნები და საბუთები უნდა გამოგზავნონ სემინარიის მმართველობის სახელზე ათ ნოებრამდე.
გამგეობა:
809 1—1.

---

## კაფე „ერთობა“

კაფე „ერთობა“, კაფე „ერთობა“,
რა საგულისხმო გასაგონია!
ამაზე იაფ ჯანსაღ სადილსა
ვერსად ვერ ჰპოვებთ არა მგონია.

ორ თავ სადილში, თავისი პურით,
თქვენ „ერთობაში“ შვიდ მანეთს მისცემთ.
და მადლიერი მორთმეულ კერძით
კაფე „ერთობას“ მუდამ პატივს სცემთ.

ქართულ კლუბის ქვეშ კაფე „ერთობას“
ვინ არ იპოვის, ვინ არ მიაგნებთ?
სადაც კი გინდათ დაგიგვიანდეთ
კაფე „ერთობის“ სადილს მიასწრებთ. 25—5 680.

---

**სახალხო ლატარია**

5 000 000 მან.

**ქართულ უნივერსიტეტის და თეატრის სასარგებლოთ.**

პირველი მოგება 100000 მანეთია

ბილეთები იყიდება ყველგან, სადაც კი გამოცხადებულია.

---

## ექიმი ი. კ. აბაკელია

**შინაგანი ავადმყოფობა.**

განსაკუთრებით ავადმყოფობანი გულმკერდისა, ფილტვებისა, სასუნთქისა, ფილტვების აპკისა, გულისა და ჯირკვლებისა.
ამოცნობა (დიაგნოზი) და წამლობა ყოველ გვარი ჰლექისა, სისხლნაკლულობისა და მალარიისა.
ავადმყოფების მიღება ყოველ დღე გარდა კვირისა საღამოს $4^1/_2$—6 საათამდე.
პეტრე დიდის ქუჩა № 26. ტელეფ. 5—86.
№ 719.

---

### ოფიციალური განყოფილება

## განკარგულებანი

ტფილისის ფოსტა-ტელეგრაფის ოლქის უფროსისა.

28 სექტემბერი, 1918 წ.
№ 135.

მიღებულ იქმნა: ყოფილი ფოსტალიონი ვლადიმერ ბესელია ხელახლად ფოსტალიონათ ხაშურის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორაში, ჯამაგირით 420 მ. წელიწადში ამა წლის 21 სექტემბრიდგან.

დანიშნულ იქმნენ: მოქალაქე ალექსანდრე ბოროზდინი და ყოფილი რკინის გზის ტელეგრაფის ზედამხედველი ლიუდვიგ ერტნერი დროებით შემდეგ თანამდებობებზედ: ბოროზდინი ფოსტა-ტელეგრაფის მოხელეთ V ხარ. ტფილისის საფოსტო კანტორაში, ერტნერკი ტელეგრაფის ზედამხედველად მცირე ჯამაგირით. ტფილისის ტელეგრაფის კანტორაში, ბოროზდინი 20 აგვისტოდან, ერტნერი კი ამა წლის 21 სექტემბრიდან, ამასთან ერტნერი გამწესებულ იქმნა ოლქის სახელოსნოში დროებით სამუშაოდ.

ვანქის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის უფროსი VI კლ. ალექსანდრე ტოდოროვი—ფოსტა-ტელეგრაფის II ხარ. მოხელედ ფოთის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორაში; ტფილისის ფოსტა-ტელეგრაფის კონტორის ფოსტალიონი ნიკოლოზ მძინაროვი—იმავე კანტორის ფოსტალიონების კომანდის უნტერ-ოფიცრად და ჯამაგირად დაენიშნა წელიწადში 750 მ.; ფოსტა-ტელეგრავის მოხელე II ხარ. საველე საფოსტო კანტორისა № 163 პეტრე ადამოვი ფოსტა-ტელეგრაფის მოხელეთ IV ხარ. ტფილისის ტელეგრაფის კანტორაში, ტედოროვი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამა წლის 1 აგვისტოდან, მძინაროვი 1 სექტემბრიდან და ადამოვი 15 ივნისიდან.

გადაყვანილ იქმნენ: ფოსტა-ტელეგრაფის მოხელეები: ქუთაისის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის III ხარ. ვასილ შანიძე, ბაქოს ტელეგრაფის კანტორის VI ხარ. პროკოფი ბერძენიშვილი და ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილების ფოსტალიონები: ანის ნაჭყებია, ტფილისის 1 სამოქალაქო—გიორგი ნათიშვილი იმავე თანამდებობაზე: შანიძე და ბერძენიშვილი ტფილისის ტელეგრაფის კანტორაში, ნაჭყებია და ნათიშვილი კი ტფილისის საფოსტო კანტორაში; შანიძე ამა წლის 16 აგვისტოდან, ბერძენიშვილი, ნაჭყებია და ნათიშვილი 1 სექტემბრიდგან, ამასთან შანიძე და ბერძენიშვილი დროებით გამწესდნენ ოლქის სამმართველოში სამუშაოდ.

სიიდგან ამოშლილ იქმნენ: ტფილისის ფოსტა-ტელ. კანტ. მოხელე V ხარ. ზოია შროლმოტოვისა და სურამის ფოსტა-ტელ. კანტორის ფოსტალიონი მიხეილ ივანაშვილი. პირველი შტატის შემცირების გამო 1 აგვისტოდან, ივანიშვილი კი ჯარში ჩარიცხვის გამო ამა წლის 11 სექტემბრიდან.

დათხოვნილ იქმნენ: ფოსტა-ტელეგრაფის კანტორების ფოსტალიონები: სიღნაღისა ვასილ კორახაშვილი, სურამისა—ლეონტი მამულია და ტფილისის საფოსტო კანტორისა: კონდრატი შენგელია და გეურქ ტატულიანცი; მამულია 21 ივლისიდან, ტატულიანცი 11 სექტემბრიდან, კორახაშვილი და შენგელია 28 სექტემბრიდან, ამასთანავე კორახაშვილი, შენგელია და ტატულიანცი თავიანთის თხოვნის თანახმად.

6 ოქტომბ., 1918 წ.

№ 136.

მიღებულ იქმნენ: ყოფილი ფოსტალიონები: მამია კილაძე, ნიკოლოზ შავერდოვი, იოკიმე ნოდია ხელახლად ფოსტალიონებად ტფილისის ფოსტის კანტორაში, ჯამაგირით 480 მან. წელიწადში ამა წლის 1 ოქტომბ.

დანიშნულ იქმნენ: ფოსტა-ტელეგრაფის მოხელე V ხარ. სიღნაღის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორისა ვლადიმერ ნიკოლაიშვილი—ნატანების ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილების უფროსად; ფოსტა-ტელეგრაფის მოხელე V ხარ. ქუთაისის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორისა იოსებ გაბეხაძე ზელიკლიუჩის ფოსტა - ტელეგრაფის კანტორის უფროსად VI კლ.; ფოსტა-ტელეგრაფის მოხელის III ხარ. თანამდებობის დროებით აღმასრულებელი ბორჯომის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის ზედამხედველი პარმენ სურგულაძე—ნიგოითის ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილების უფროსად და სურამის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის უფროსის თანაშემწე VI კლ. ალექსანდრე კავრელოვი ფოსტა-ტელეგრაფის მოხელედ IV ხარ. ტფილის ფოსტის კანტორაში; სურგულაძე 1 ენკენისთვიდან, ნიკოლაიშვილი, გაბეხაძე და კავრელოვი ამა წლის 1 ოქტომბრიდან, მასთან სურგულაძე დამტკიცებულია სახელმწიფო სამსახურის უფლებით.

მოქალაქე კონსტანტინე კობალაძე ზედამხედვლის თანამდებობის დროებით აღმასრულებლად მცირე ჯამაგირით. ტფილისის ტელეგრაფის კანტორაში, 1 ოქტომბრიდან ამა წლის და დროებით გამწესდა სამუშაოდ ოლქის სახელოსნოში.

გადაყვანილ იქმნენ: ჯულფის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის მექანიკოსის თანამდებობის აღმასრულებელი ივანე, გაპანოვიჩი (იგივე გაპონი), ფოსტა-ტელეგრაფის მოხელე ფოსტა-ტელეგრაფის კანტორებისა: ოზურგეთის—VI ხარ. ივლიანე თოიძე, სურამისა—VI ხარ. სერგო კარსელოვი, ტფილისის ტელეგრაფის კანტორისა V ხარ. დომენტი დოჩვირი, არტაშეს ტერ-დავიდიანცი, ალექსანდრე ფარესოვი იმავე თანამდებობებზედ: გაპანოვიჩი—გორში, კარსელოვი—ფოთში, ფარესოვი—დუშეთის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორებში; თოიძე ნაგომარში, დოჩვირი—ტფილისის 3 განყოფილებაში; ტერ-დავიდიანცი კი—ტფილისის 5 სამოქალაქო ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილებაში; გაპანოვიჩი 10 სექტემბრიდ. თოიძე, კარსელოვი, დოჩვირი, ტერ-დავიდიანცი და ფარესოვი—1 ოქტომბრიდან.

12 ოქტომბერი, 1918 წ.

№ 140.

დანიშნულ იქმნენ: ფოსტა-ტელეგრაფის მოხელე V ხარ., დროებით დაქირავებული, ბორჯომის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის დავით თუხარელი ზედამხედველად დროებით იქვე კანტორაში; ელენოვის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის უფროსის თანაშემწე V კლ. ელიზბარ ხუხუა—ბაშკიჩეტის ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილებაში; ხუხუა 28 სექტემბრიდან, თუხარელი 1 ოქტომბრიდან.

გადაყვანილ იქმნენ: მცირე ჯამაგირიანი ზედამხედველი ანანურის ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილებისა ნიკოლოზ მელაძე, ფოსტა-ტელეგრაფის მოხელე V ხარ. სურამის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორისა სოფიო სვანიძე დ ფოსტალიონები ფოსტა-ტელეგრაფის კანტორებისა: ართვინისა მიხეილ ანდრიაძე, სარიყამიშისა გრიგოლ კალანდია, სადგურ განჯისა სამსონ ჯიოევი, ქ. განჯისა გრიგოლ კუხალაშვილი და ყაზბეგის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორისა ვლადიმერ კაიშაური იმავე თანამდებობებზე: მელაძე—მცხეთაში, სვანიძე—ფოთში, ანდრიაძე ოჩემჩირის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორებში. კალანდაძე კატერინოსლავში· კაიშაური გუდაურის ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილებაში, ჯიოევი და კუხალაშვილი ტფილისის ფოსტის კანტორაში, ჯიოევი 1 სექტემბრიდან, ექვსი ფოსტალიონი კი 1 ოქტომბრ., მასთან მელაძე და სვანიძე თავისის თხოვნის თანახმად.

დათხოვნილ იქმნა: ლაგოდეხის ფოსტა-ტელეგრაფის მოხელე V ხარ. დიონისი ინასარიძე; ფოსტა-ტელეგრაფის მოხელე VI ხარ. ტფილისის ტელეფონის ქსელისა პარასკევა კავერკინი; VI ხარ. ფოსტა-ტელეგრაფის მოხელის თანამდებობის დროებით აღმასრულებელი ტფილისის ფოსტის კანტორისა შალვა ავალიანი; ყარსის რკინის გზის ფოსტის განყოფილებისა მიხეილ ანდრიაძე; ტფილისის რკინის გზის ფოსტის განყოფილებისა მოსე მრევლიშვილი, კონსტანტინე მჭედლიშვილი დ მინერალოვოდსკის რკინის გზის ფოსტის განყოფილებისა გიორგი აბაზაძე; ანდრიაძე 1 ივლისიდან, მჭედლიშვილი და კავერკინა 1 სექტემბრიდან, ჩარკვიანი, ავალიანი, მრევლიშვილი და აბაზაძე 1 ოქტომბრიდან, ინასარიძე 4 ოქტომბრიდან, ამასთანავე ავალიანი, ანდრიაძე, მრევლიშვილი, მჭედლიშვილი, აბაზაძე, ინასარიძე და კავერკინა თავიანთის თხოვნის თანახმად.

გამორიცხულ იქმნენ: ფოსტა-ტელეგრაფის მოხელეები ფოსტა-ტელეგრაფის კანტორისა: სარიყამიშისა IV ხარ. ნიკოლოზ ბოიაჯევი (იგივე სტეფანოვი.) ახალციხის III ხარ. მარტიროს კოშტოიანცი და ფოსტა-ტელეგრაფის კანტორების: ბათომისა მოსე დოლიძე, კარიაგისა სარდიონ სარია, გინდარხის ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილების ისააკ ცურცუმია; ბაიაჯევი 6 აპრილიდან. რადგანაც დროებით დათხოვნის დრო გაუვიდა, კოშტოიანცი 14 სექტემბრიდან სიკვდილის გამო, დოლიძე 1 ოქტომრიდან, სარია ცურცუმია 27 სექტემბრიდან სამხედრო სამსახურში შესვლის გამო.

დამტკიცებულ იქმნენ: ფოსტა-ტელეგრაფის მოხელე IV ხარ. დროებით დაქირავებული, სიღნაღის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორისა ვლადიმერ ჯანიკოვი სახელმწიფო სამსახურში 1 ოქტომრიდან.

14 ოქტომბერი, 1918 წ.

№ 141.

გადაყვანილ იქმნენ: საღირის ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილების უფროსი ემელიანე გიორგაძე, ახალციხის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის უფროსის თანაშემწე III კლ. რაფიელ ზეგოევი, ფოსტა-ტელეგრაფის მოხელეები ფოსტა-ტელეგრაფის კანტორებისა: გერუცისისა V ხარ. სამსონ წაროუშვილი, ახალსენაკისა IV ხარ. მიხეილ ვაშაკიძე, ბათომის IV ხარ. იოსებ გორდაძე I ხარ. ალექსანდრე ბაზიევი, გუდაუთის V ხარ. ვერა ტყემალაძე, ჯულფის VI ხარ. ლეონიდ ჯიბლაძე, ტფილისის ტელეგრაფის კანტორის V ხარ. იოსებ ჯანიაშვილი, ტფილისის 3 სამოქალაქო ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილებისა V ხარ. ლეონტი სხირტლაძე, ფოსტალიონები ფოსტა-ტელეგრაფის კანტორებისა: ოჩამჩირისა—შალვა გვასალია, ქუთაისისა მიხეილ დოლიძე, ერევნისა ვუკოლ (იგივე ნიკოლოზ) ახვლედიანი, ევლახის—გაბრიელ სირაძე, სოხუმისა კალისტრატე ლალიაშვილი და სამტრედიისა—ანემპოდისტე პატარაია: იმავე თანამდებობიბზე: გეორგაძე—გომბორის, პატარაია ბეშთაშენის, ჯანიაშვილი—ტფილისის 1 სამოქალაქო ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილებაში, ზეგოევი და ჯიბლაძე ფოთის, წაროუშვილი ცარსკოე-კოლოდცის, გორდაძე და გვასალია ხაშურის, ტყემალაძე ქუთაისის, დოლიძე სურამის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორებში; კამაკიძე, სხირტლაძე, ახვლედიანი, სირაძე და ლალიაშვილი ტფილისის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორაში, ბაზიევი ტფილისის ტელეგრაფის კანტორაში, ზეგოვი და ბაზიევი 1 აგვისტოდან, წაროუშვილი 8 აგვისტოდან, ტყემალაძე, ჯანიაშვილი, ახვლედიანი 1 სექტემბრიდან, ვაშაკიძე, გორდაძე, სხრიტლაძე, გვასალია და სირაძე 21 სექტემბრიდან, ჯიბლაძე 27 სექტემბრიდან, გეორგაძე, დოლიძე და პატარაია 10 ოქტომბრიდან ამა წლისა, მასთან ჯანიაშვილი, სხირტლაძე, გვასალია, დოლიძე, ახვლედიანი და პატარაია სამსახურის საკეთილდღეოდ, დანარჩენნი ათნი კი თავიანთის თხოვნის თანახმად.

ოლქის უფროსი მ გ ე ლ ა ძ ე.

## არა ოფიციალური განყოფილება.

ტფილისი, 27 ოქტომბერი.

გუშინდელი საერთაშორისო მდგომარეობა, სადაც ბატონობდა და თავისუფლად დათარეშობდა გასისხლიანებული ხმალი, ამ უკანასკნელ ხანაში შეიცვალა, თუმცა სავსებით არა.

გადაილუნა მებრძოლთა ხმალი და მივიდა მხოლოდ იმ საზღვრამდე, როდესაც მისი გადატეხის წუთი ახლოა, მაგრამ არ გადატეხილა კი.

გერმანიის იუნკრული მთავრობის დამარცხება, გაძლიერებული გერმანიის შექმნის სურვილის ფრთების შეკვეცა, ახალი მთავრობის შექმნა და ვუდრო-ვილსონის საზავო პლატფორმის მიღება,—ეს მეტად მნიშვნელოვანი ნაბიჯია ზავისკენ გადადგმული,—მაგრამ ზავის საკითხს სავსებით არა სწყვეტს, რადგან შეთანხმების სახელმწიფოთა იმპერიალისტური მთავრობები, გაჯიუტებულნი კვლავ მხედრულ ყიჟინასა სცემენ და თოფზარბაზნებს არ შორდებიან.

ბრძოლა ზავისათვის ყველგან სწარმოებს და აწარმოებს მას განსაკუთრებით დემოკრატიის ბანაკი, მაგრამ სანეტარო ზავი ჯერ კიდევ არ ჩამოვარდნილა. საომარი მოღვაწეობა გრძელდება.

ერთი მხრივ, თუ გერმანია მსოფლიოს ზავისაკენ მოუწოდებს, მეორე მხრივ იარაღით ხელში განაგრძობს ბრძოლას. ზავისათვის ბრძოლა და ფრონტის დაცვა—ასეთია დღეს გერმანიის გადაწყვეტილება და ის ამას ცხოვრებაში ახორციელებს. მაგრამ, როგორც ვსთქვით, ბრძოლა გრძელდება და ამ უსაშინელეს ბრძოლაში ომის ღმერთი—მარსი—ჯერჯერობით გამარჯვების სასწორს შეთანხმების სახელმწიფოთა სასარგებლოთ ხრის.

ცენტრალურ სახელმწიფოთა კავშირიდან ბულგარეთის გამოსვლამ დიდი დაღი დაასვა გერმანიას სამხედრო მდგომარეობას და თუ ოსმალეთი, რომელიც, როგორც დანამდვილებით გადმოგვცემენ, სეპარატიული ზავის შესახებ მოლაპარაკებას აწარმოებს ინგლისთან, გამოსხლტა გერმანიის წრიდან, ცხადია, ცენტრალურ ქვეყნების მდგომარეობა კიდევ უფრო გართულდება და დამძიმდება. ამგვარი მდგომარეობის პერსპეკტივა გამარჯვების იმედებს უსკეცებს შეთანხმების იმპერიალისტებს და განაგრძობიებს ბრძოლას, რომლის შეწყვეტას, როგორც გერმანია, ისე მის მოკავშირეეთ დარჩენილი ავსტრო-უნგრეთი, ისე ევროპის დემოკრატია მოითხოვს. მაგრამ, სანამ ეს მოთხოვნილება ცხოვრებაში არ გატარებულა და რეალობათ არ ქმნილა,—მანამ გერმანია იძულებული ხდება ხმალი ქარქაში არ ჩააგოს და უკანასკნელ სისხლის წვეთამდე იძულებულია განაგრძოს ბრძოლა ორ ფრონტზე—ზავისა და სამხედრო ფრონტზე.

***

ოსმალეთში ენვერფაშას კაბინეტის დაცემა და ანგლოფილური კაბინეტის შედგენა დასაწყისი იყო იმ მოვლენისა, რომელიც დღეს ან ხვალ ლოღიკურათ უნდა დასრულდეს. ოსმალეთი რომ სეპერატიულ მოლაპარაკებას აწარმოებს ინგლისთან-ეს ფაქტია,—და გერმანიის ოფიციალური წყაროც ამას არ მალავს. ვსთქვათ ოსმალეთმა შეჰკრა სეპარატიული ზავი ინგლისთან,—რა გავლენის მოხდენა შეუძლიან ამას ამიერ-კავკასიის და კერძოთ საქართველოს ცხოვრებაზე?—ბუნებრივათ ისმის ეს საკითხი.

ცხადია, წინდაწინ ამაზე კონკრეტიული პასუხის გაცემა მხოლოდ მარჩიელობა იქნებოდა, რადგან: რა ფორმებში ჩამოყალიბდება ოსმალეთ-ინგლისის დამოკიდებულება ჯერ სადავო და ბურუსში გახვეულია.

ოსმალეთის პოლიტიკა მოსწყდა ამიერ-კავკასიას, ფაშების მოღვაწეობას ამიერ კავკასიაში ასპარეზი ესპობა—ამას ამიერ-კავკასიის ერთა ცხოვრებაში ფრიად დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან ბოლო მოეღება იმ პროვოკაციულ, აზიურ პოლიტიკას, რომელსაც აქ ოსმალეთის მზაკვარი დიპლომატები აწარმოებენ.

როგორც ვსთქვით, თუ კონკრეტულათ როგორი გავლენა ექნება ოსმალეთის სეპარატულ ზავს ამიერ-კავკასიაზე და კერძოთ საქართველოზე,—ამის შესახებ დასკვნების გამოყვანა ნაადრევია და შეიძლება შეუსაბამოც იქნეს,—მაგრამ ერთი შეიძლება გადაჭრით და დარწმუნებით ითქვას:

ამიერ-კავკასია საერთოდ და საქართველო კერძოთ, ისეთ ეკონომიურ პოლიტიკურ კატეგორიას წარმოადგენს, რომელიც მთელ მებრძოლთა ყურადღებას იპყრობს. აზიისკენ მეკარე საქართველო, რაც დაქსელულია საერთაშორისო ინტერესებით, მებრძოლთა თვალში მეტად საგულისხმო და სანეტაროა.

ჩვენ ვიყავით და ვართ სრულიად ნეიტრალური სახელმწიფო და ყველას საქმე ექნება ჩვენთან, როგორც ნეიტრალურ სახელმწიფოსთან. ამ მხრივ საქართველოს საკითხი უსათუოდ საერთაშორისო საკითხსა და იქ, სადაც ყველა საერთაშორისო საკითხი გადაიჭრება, მასაც სათანადო ყურადღება მიექცევა, და არ არის ისეთი მოსაზრება ან ეჭვი, რომ ამ მდგომარეობამ ყველას არ უკარნახოს ჩვენი დამოუკიდებლობისა და ნეიტრალობის დაცვა.

სამხედრო ასპარეზზე როგორი რადიკალური ცვლილებაც უნდა მოხდეს,—ჩვენი საერთაშორისო პირობები იმის გარანტიას იძლევა, რომ ჩვენი ნეიტრალური სახელმწიფო, როგორც ნეიტრალური ქვეყანა ხელუხლებელი და მისი სუვერენობა დაცული იქნება.

ჩვენ სრული იმედით შევყურებთ მომავალს იმ უბედურ შემთხვევაშიც, თუ ზავი ხვალის საქმე არ იქნა და დემოკრატია საზავო ბრძოლიდან დამარცხებული გამოვიდა.

მაგრამ გვწამს, რომ ზავი ახლოსაა. ამას მოითხოვს მთელი მსოფლიოს დემოკრატია და ამასვე მოითხოვს იმ ინტერესთა წინააღმდეგობა, რომელიც ინგლისსა და ამერიკას შორის არსებობს. ამერიკა და გერმანია—ორივე დაინტერესებულია დღეს ზავით, რომელიც ვუდრო ვილსონის პირობებზე იქნება აგებული და, ვფიქრობთ, რომ ეს გარემოება კიდევ უფრო დააჩქარებს ზავის მოახლოვებას.

ხოლო ჩვენ უნდა ყოველი ღონით ვეცადოთ, რომ ერთად და მთლიანათ ქცეული, განმტკიცებული, როგორც ნამდვილი სახელმწიფო, წარვსდგეთ ევროპის და ამერიკის წინაშე და ჩვენი ხმა სათანადოთ ავიმაღლოთ.

## ქართული პრესა

ქართული პრესა დღევანდელ საჭირბოროტო საკითხის, ბორჩალოს მაზრაში მომხდარ ინციდენტის შესახებ, მსჯელობას განაგრძობს. გაზეთი „ერთობა“ სამართლიანად შენიშნავს:

„დიახ, ამიერ-კავკასია ბალკანეთს დაემსგავსა, აჭრელებული ქვეყანა ცეცხლის შესაძლებლობით გაიჟღინთა, და თუ სომხეთის მთავრობა ამ გავარვარებულ ატმოსფერაში სპიჩკის როლს აასრულებს, მთელი პასუხისმგებლობა დაღვრილი სისხლისა მას დააწვება კისერზე.

ჩვენ გადაჭრით ვაცხადებთ, საქართველოს დემოკრატიას არ სურს ომი, არ სურს ძმათა სისხლის ღვრა, ამიტომ ჩვენი გულწრფელი წინადადებაა სომხის დემოკრატიისადმი—დაჰგმონ თავზე ხელაღებული ხელმძღვანელები დაშნაკელების მთავრობის, ალაგმონ ეს დაუსრულებელი პროვოკაციები, რომელთა მიზანია ძმათა ჟლეტის გამოწვევა და ეროვნული მტრობის გაძლიერება.

ჩვენ მივმართეთ სომხის დემოკრატიას, რომელიც საქართველოს საზღვრებში ცხოვრობს, თავის მკაცრი და სამართლიანი მსჯავრი დასდოს სომხის მეთაურთა უმგვანო საქციელს.

საქართველოს დემოკრატიული მთავრო-

ეროვნული ბიბლიოთეკა 183

ბა ვერ გადაუხვევს საქართველოს დემოკრატიის ნება-სურვილს.

სასურველია და აუცილებელი სომხეთის მთავრობაც სომხის დემოკრატიამ ჩაიჭიროს ხელში და ავანტიურისაგან იხსნას სომხის ხალხი.

საერთაშორისო ჰორიზონტი იწმინდება ომის ალმურისაგან. ამ დროს აქ ომის გაჩაღება—ეს უდიდესი და მიუტევებელი შეცდომა იქნება დემოკრატიის და საერთაშორისო სოლიდარობის წმინდა იდეის წინაშე. სიტყვა ეკუთვნის სომხის დემოკრატიას“.

და ჩვენ მოველით ამ სიტყვას.

* * *

გაზეთი „საქართველო“ იხილავს ბორჩალოს საკითხს და ამბობს:

„კატეგორიულად ითქმის, რომ საქართველოს არასოდეს არ უმოქმედნია არც პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივად და არც საზოგადოებრივ-ზნეობრივად სომხეთის სამტროდ, საზიანოდ ან შეურაცხყოფილად. ყოველთვის პირიქით გვიმოქმედნია. მაშ, კიდევ ვიკითხოთ, რაშია საქმე, მიზეზის მიუცემლად და ვნების მიუყენებლად შეიარაღებული სომხეთი რომ თავს გვესხმის? საქმე ისაა, რომ პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივის სომხეთის დღევანდელ მესვეურთ გადაწყვეტილი აქვთ საქართველოს ჩამოჰგლიჯონ ბორჩალო-ახალციხის ნაწილები და ახალქალაქის მაზრა; დამოუკიდებელი საქართველო და ისიც ბორჩალო-ახალციხე-ახალქალაქის მაზრებით აბსოლიუტურ შეუწყნარებლად მიაჩნია სომხობის პოლიტიკურ შემეცნებას; ან ამიერ-კავკასიის ეროვნულ-სახელმწიფოებრივი გაუმიჯნაობა და ძველებურად ზურგზედ საერთო ბატონი, ან თუ ეროვნებათა დამოუკიდებლობა იქნება, მაშინ ბორჩალო-ახალციხის ნაწილები და ახალქალაქის მაზრა სომხეთს უნდა ეჭიროს. აი ეს არის აზრი და მისწრაფება პოლიტიკურად მომქმედ სომხობისა. ეს მისი ტერიტორიულ-სახელმწიფოებრივი პროგრამაა, რომელიც მამოძრავებელ იდეათ არის გადაქცეული“.

ამგვარათ, თუ „საქართველოს“ თქმით ბორჩალო-ახალციხის ნაწილებზე სომხეთის გაბატონებული პარტია პრეტენზიებს აცხადებს, ამის შესახებ თვითონ „საქართველო“-ც დამტკიცებულათ სწერს:

„არარატის რესპუბლიკას გადაწყვეტილი აქვს იარაღით წაგვართვას ბორჩალო-ახალციხის ნაწილები და ახალ-ქალაქის მაზრა. მას ავიწყდება, რომ ამ მაზრებს ქართველი ხალხი და საქართველოს რესპუბლიკა იცავს. ეს მაზრები არასოდეს არ ყოფილა სომხეთის ტერიტორიად, სომხეთის ისტორიულ-პოლიტიკურ სარბიელად. ამ მაზრებში მუდამ საქართველო იყო და ეს მაზრები მუდამ საქართველოში დარჩებიან. ნუ თუ ისე ჯაბნად მიიჩნია არარატის რესპუბლიკამ საქართველო, რომ მამა-პაპეული სამკვიდრებელის და მათი სალოცავ-აკვნის წართმევა ასე იოლად დაუპირა. ანგარიშში არ მოსტყუვდეს! მომხდურის დახვედრა საქართველოს არ დავიწყნია. საქართველო სომხობის არც ტერიტორიას შეჰხებია და არც მის პოლიტიკურ დამოუკიდებლობის წინააღმდეგ იბრძვის. სომხეთიც თავის კანში ჩაეტიოს და იყოს ლოიალური საქართველოს ტერიტორიის მთლიანობისა და მის სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობის მიმართ. თქვენი არ გვინდა და ჩვენსას კი მხოლოდ მაშინ წაალებთ, როდესაც საქართველოს გვამზე გადმოივლით“!

ჩვენ არა ერთჯერ ვსთქვით, რომ საკითხის გადაჭრა იარაღით შეუძლებელია. იგი უნდა გადაიჭრას შეთანხმებით, და, თუ რა პრინციპი დაედება მას,—ეს სხვა საქმეა.

* * *

გაზეთი „სახალხო საქმე“ იხილავს არსებულ საერთაშორისო მდგომარეობას, ეხება ვილსონის საზავო პროგრამას და მის მიხედვით საქართველოს შესახებ სწერს:

„კერძოდ ჩვენთვის, საქართველოსთვის, ყველაზე მეტი მნიშვნელობა აქვს იმ მუხლს, სადაც ლაპარაკია ერთა თვითგამორკვევაზე. ეს ფორმულა ყოველთვის ყოფილა და ეხლაც არის მხოლოდ ფრაზა, რომელსაც ყოველნაირი შინაარსი შეიძლება მისცე იმისდა მიხედვით, თუ რანაირი ძალთა განწყობილებაა ყოველ კონკრეტიულ შემთხვევაში.

ამ დებულების თვალსაზრისით რომ განვიხილოთ ჩვენი მდგომარეობა, და საქართველოს დამოუკიდებლობა ვილსონის პროგრამის საზომით გავზომოთ, საქართველოს სრული უფლება უნდა ჰქონდეს და აქვს დამოუკიდებლად არსებობისა. ისტორიულადაც და ფაქტიურადაც საქართველო აღჭურვილია ყველაფრით, რაც კი საჭიროა დამოუკიდებელი სახელმწიფოს შესაქმნელად“.

„სახალხო საქმეს“ აზრით, ის გარემოება, რომ გერმანია ჩვენთანაა ყველას აიძულებთ, ამას ანგარიში გაუწიონ. კერძოთ გერმანიის შესაბ „სახალხო საქმე“ სავსებით სამართლიანათ ამბობს:

„ქართველი ხალხი ვერასოდეს ვერ დაივიწყებს იმ სამსახურს, რომელიც გერმანიამ გაუწია საქართველოს. მიუხედავად იმისა, რომ იგი იძულებული ჰხდება თავისი საკუთარი მოვალეობის წინააღმდეგ ემოქმედნა, იგი არ მოერიდა ამ გარემოებას და საქართველო აოხრებასა და განადგურებისაგან გადაარჩინა. გერმანიის დახმარება რომ არ ყოფილიყო, დღეს საქართველო ოსმალეთის სათარეშო მოედნან გადაიქცეოდა და ჩვენი ხალხი ისევე აწიოკებული და გავერანებული იქნებოდა, როგორც ყველა ისინი ვის ტერიტორიაზედაც გაიარა ოსმალეთის ჯარმა. საქართველო უკანასკნელ შესაძლებლობამდე ებრძოდა ოსმალეთს, ებრძოდა მაშინაც კი, როდესაც ბოლშევიკურმა რუსეთმა იგი ვერაგულად, მარტო დასტოვა და ამ განწირულების ჟამს მხოლოდ გერმანიის დახმარებით გახდა შესაძლებელი ჩვენი ქვეყნისა და ხალხის გადარჩენა ფიზიკური განადგურებისაგან.

მაგრამ გერმანიის დახმარებას არასოდეს არ გადაუბიჯებია მეგობრული ურთიერთობის საზღვრებიდან. საქართველომ, დღიდან თავისი დამოუკიდებლობის გამოცხადებისა, თავისი თავი ნეიტრალურ სახელმწიფოდ გამოაცხადა და ფაქტიურად არც ერთი აგრესიული ნაბიჯი არ გადაუდგამს მეზობელ სახელმწიფოების წინააღმდეგ. საქართველო ფიქრობდა და ეხლაც ფიქრობს, რომ ნეიტრალიტეტი ის დუღაბია, რომელზედაც უნდა აშენდეს მისი დამოუკიდებლობა და დემოკრატიული წესწყობილება.

სამართლიანობა მოითხოვს ალვიაროთ, რომ თვით გერმანიასაც არასოდეს არ გამოჩენია სურვილი ნეიტრალიტეტის დარღვევისა და ჩვენს შინაურ საქმეებში ჩარევისა.

გერმანია მოვიდა ჩვენთან როგორც სტუმარი, ჩვენისავე თხოვნით და ევროპაც იძულებული გახდება ამ ფაქტს სწორედ ამნაირის თვალსაზრისით შეხედოს. ევროპას ვერ შეუძლიან ვერც გერმანიას და ვერც საქათველოს მინუსად ჩაუთვალოს ის, რომ შეერთებულისა და შეთანხმებულის ძალღონით ქვეყანა გადაარჩინეს ბოლშევიკურ რღვევა-რბევასა დ ოსმალეთის აოხრებისაგან. სიცოცხლის ინსტინქტი აიძულებს ყოველს ერს მიმართოს ისეთს საშუალებას, რომელიც დაიხსნის მას სიკვდილისაგან. ქართველი ერი სწორედ ასეთი საბედისწერო მომენტის წინაშე იდგა და მან უყოყმანოდ აირჩია გზა გერმანიასთან შეთანხმებისა ქვეყნის გადასარჩენად.

მახლობელ მომავალში საქართველო უნდა წარსდგეს ევროპის წინაშე და იგი აუცილებლადა წარსდგება, როგორც დამოუკიდებელი და სუვერენული ერი, რომელიც იბრძოდა თავისი თავისუფლებისთვის, და ამ ბრძოლის დროს არც ერთხელ არავის უფლება არ შეუზღუდავს და არც ერთხელ არავისკენ არ გადაუხრია თავისი სასწორი.

საქართველოს თამამად და თავისუფლად შეუძლიან უთხრას მთელ ქვეყანას, მე მხოლოდ ჩემი თავისუფლებისთვის ვიბრძოდიო.

თუ საზოგადოდ ერთა თვითგამორკვევის პრინციპს რაიმე გასავალი ექნება, ამ პრინციპის მიხედვით უპირველესად ყოვლისა უნდა მოეწყოს საქართველო და მისი მრავალ-ტანჯული ერი“.

## სომხური პრესა

„ჟოღოვორდი ძაინ“-იც ეხება სანაინის ინციდენტს. ის სწერს:

„სანაინთან მომხდარმა ინციდენტმა ააშფოთა როგორც ჩვენი ისე ქართველი საზოგადოება.

ამის გამო პრესამაც დაიწყო თავისი შეხედულების გამოთქმა; სამწუხარო იქნება თუ ამ საკითხის გარშემო დაიწყო პარტიული და ეროვნული ბრძოლა.

რასაკვირველია, ჩვენ არ დავიცავთ სომხეთის ეხლანდელი დაშნაკელების მთავრობას, მაგრამ, რადგანაც ჯერ-ჯერობით ფაქტი არ არის გამორკვეული, ჩვენ ნაადრევათ მიგვაჩნია სომხების მთავრობაზე თავს დასხმა.

ჩვენ გვინდა დავიჯეროთ, რომ კაჩაზნუნის მთავრობა არ არის დამნაშავე ამ სამწუხარო საქმეში.

საჭიროა, საჩქაროთ დაინიშნოს ორთავე მხრის თანხმობით გამომძიებელი კომისია, რომელმაც უნდა გამოარკვიოს მომხდარი ინციდენტი. გამოძიების შემდეგ სასტიკათ უნდა დაისაჯოს დამნაშავენი.

კმარა რაც ჩვენ ხალხის ზურგზე ითამაშეს სხვა და სხვა უპასუხისმგებლო პირებმა“.

რა ვუყოთ, „ჟოღ. ძაინს“ არ სჯერა, რომ ამ ინციდენტში დანაშაული კაჩაზნუნის მთავრობას მიუძღვის. ეს მისი საქმეა. მაგრამ ჩვენ წინააღმდეგი არ ვიქნებით, რომ ამ ინციდენტში დამნაშავეთა შესახებ გამომძიებელი კომისია დაარსდეს, მაგრამ როგორ გინდათ ეს პრაქტიკულათ განხორციელდეს?

ნეტავ მართლა ბოლო მოეღებოდეს სომხეთის ხალხის ზურგზე უპასუხისმგებლო პირების თამაშს,—მაგრამ აკეთებთ რაიმეს ამისათვის?

* * *

„აშხატაორი“, ეხება სანაინის ინციდენტს და სწერს:

„ოფიციალური ცნობების მიხედვით, სომხეთის და საქართველოს მთავრობებს ჰსურთ მშვიდობიან გზით გაათავონ გადამიჯვნის საკითხი.

მაგრამ მიუხედავათ ამისა, ეს ინციდენტი დღეს უპასუხისმგებლო პირების წყალობით ისე გართულდა, რომ საქართველოს მთავრობა შესაძლებლათ სთვლის სამხედრო მოქმედების დაწყებას.

მეტია იმაზე ლაპარაკი, თუ რა მძიმე შედეგები მოჰყვება მეზობლების ერთმანეთთან შეტაკებას.

ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ მტერი თავისი ოინებით (**КОЗНИ**) ვერას შესძლებს სომეხ-ქართველთა შორის შუღლის ჩამოგდებას.

არას დროს სომხეთის და საქართველოს რესპუბლიკები არ მოისურვებენ შეიარაღებულ ძალით გადასჭრან სადაო საკითხები.

რომ შესაძლებელი გახდეს ყველა საკითხების, და განსაკუთრებით გადამიჯვნის საკითხი მშვიდობიანათ გათავდება, საქართველოს მთავრობამ უნდა გადაჭრით დაამტკიცოს ჟორდანიას ივნისის განცხადება, რომ საქართველოს პრეტენზიები აქვს არა ლორის და ბორჩალოს იმ ალაგებზე, რომლებიც დასახლებული არიან სომხებით.

ასეთი გარკვეული, პრინციპიალური გამოცხადება საქართველოს მხრით, ჩვენის აზრით, სავსებით დააკმაყოფილებს სომხეთის მთავრობას და დაედება საფუძვლათ მომავალ მოლაპარაკებას. ამიტომ საჭიროა საქართველოს მთავრობამ გამოარკვიოს თავისი პოზიცია ამ პრინციპიალურ საკითხების შესახებ.

რამდენათაც მთავრობა მალე გამოარკვევს ამ მდგომარეობას, იმდენად მალე გადაიჭრება ყველა ეს სადავო საკითხები.

რაც მალე მოხდება ეს, იმდენათ უფრო კარგი იქნება ორივე ერის დემოკრატიისათვის“.

მარტო ლორის საკითხის წამოყენება ჩვენ საკმარისათ არ მიგვაჩნია; უნდა დაისვას საერთოდ მთლიანათ მთელი ტერიტორიის გადამიჯვნის საკითხი და ეს საკითხი ყველა რესპუბლიკების თანხმობით უნდა გადაწყდეს. ამ შემთხვევაში სიტყვა ეკუთვნით პარლამენტებს.

* * *

„ორიზონს“ (№ 219) მოუთავსებია მოწინავე წერილი სათაურით „ჰაერი იწმინდება“, რომელშიაც სწერს სხვათა შორის, შემდეგს:

„საქართველოს მთავრობამ ოფიციალურათ გამოაცხადა რა ინცინდენტი მომხდარა ლორში, რომელმაც აღაშფოთა საზოგადოება. სომხეთის ადგილობრივმა დიპლომატიურმა მისიამაც გამოსცა ის დეპეშა, რომელიც მიეღო ამ თვის 23 საქართველოს მთავრობის თავმჯდომარე ჟორდანიას სომხეთის მთავრობის თავმჯდომარე, კაჩაზნუნისგან. ეს ორი დოკუმენტი ეჭვს არ უშვებს, რომ ორივე მთავრობის მიზანია, რომ ომი საქართველოს და სომხეთს შუა ეხლანდელ პოლიტიკურ მდგომარეობაში დამღუპველი იქნება ორივე მხარესთვის, მიუხედავად იმისა, თუ ვინ არის მართალი, და ვინ არის დამნაშავე.

თუ მხედველობაში მივიღებთ ოფიციალურ წერილების შინაარსს, ლორის საკითხის გარშემო მომხდარი უთანხმოება ორივე მთავრობების შუა უნდა გადაჭრილათ ჩაითვალოს. ორივე მთავრობა მისულა იმ დასკვნამდე, რომ ქართველები უნდა დარჩენ თავიანთ აქამდე დაჭერილ ალაგებზე და სომხებმაც უნდა დაიჭირონ მხოლოდ ის ალაგები, რომლებიც დატოვებული არის ოსმალებისაგან. მანამ, სანამ მიჯნის დავა ერთურთ შეთანხმებით გადაიჭრებოდეს. ამ თვალსაზრისზე სდგას აგრეთვე ამიერ-კავკასიის გერმანული მისია, რომელიც, როგორც გარკვეული მოვალეობის მქონე საქართველოს შესახებ, ბუნებრივათ საგანგებო ინტერესით ეპყრობა ლორის ინცინდენტს.

მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ მიუხედავათ იმისა, რომ ორივე მთავრობას სურთ მშვიდობიანობით გათავდეს ეს საქმე, არა ვართ სავსებით მშვიდათ, რადგან ამბები ისე არ მიმდინარეობს, როგორც ეს უნდათ ჩვენს მთავრობებს. სამქე იმაშია, რომ ტელეგრაფის დამოკიდებულობა სომხეთს და საქართველოს შუა ძალიან ძნელია, დღეობით წყდება, და კურიერით წერილების გაგზავნა ტფილისიდან ერევანს სამი დღე უნდება. მართალია, რომ სომხეთის მისიამ სომხეთის მთავრობას ხუთშაბათს სწრაფი მატარებლით კაცები გაუგზავნა საქართველოს უკანასკნელი ნოტის საცნობათ, მაგრამ ძნელათ თუ შაბათს მივიდეს ალაგზე, და მანამდი შესაძლებელია, რომ ბორჩალოში უსიამოვნო მოვლენები მოხდეს.

მაგრამ ამას საზოგადოება მშვიდათ უნდა შეხვდეს. ჩვენი მთავრობები იპოვიან საშუალებას, რომ უსიამოვნო მოვლენებს ლიკვიდაცია უყონ.

## პატარა შენიშვნები.

12.

„კომუნისტ-ბოლშევიკებმა“ რუსეთის დემოკრატიას სასიკვდილოთ დასცეს მახვილი. მათმა დამღუპველმა პოლიტიკამ თითქმის დაასამარა რუსეთის დიდი რევოლიუცია; ამ ავანტიურისტების წყალობით აუარებელ უდანაშაულოთა სისხლი დაიღვარა. მათ მიერ გაჯოჯოხეთებულ რუსეთში თავი წამოყვეს და იწყეს მოქმედება რეაქციონერებმა და შავმა ძალებმა: დღეს მთელი რუსეთი რეაქციის ქსელშია გახვეული.

ბოლშევიკებმა თავისი ფრონტი ჩვენშიაც გადმოიტანეს: ჯერ ბაქოდან და კავკავიდან გვითვლიდენ მუქარას და გვიპირებდენ დედამიწის პირიდან ალგვას, ბოლოს შინაც შემოგვეპარენ და გააჩაღეს ჩვენი ქვეყნის ბევრ ადგილებში ანარქიის ცეცხლი; ჩვენშიაც არა ნაკლები სისხლი დაიღვარა მათი წყალობით.

იმ დროს, როცა ჩვენი ქვეყანა საჭიროებს დემოკრატიის რევოლიუციონური ძალების დარაზმვას ახალგაზდა სახელმწიფოს ალსაშენებლათ და მის მკვიდრ ნიადაგზე განსამტკიცებლათ, საუკეთესო რევოლიუციონურული ძალები ბოლშევიკების მიერ გაჩაღებულმა ანარქიამ შეიწირა. ვინ გინდათ, რომ ბოლშევიკების ძმათა სისხლში ამოსვრილ დროშის ქვეშ არ მოეყარა თავი, ვის არ ნახავდით იქ? ჩვენში დარჩენილ უპასუხისმგებლო რუს ჩინოვნიკობასა და ოფიცრობას, სომეხთა უკმაყოფილო ელემენტებს, ჩვენ ქართველ ბოლშევიკებს, ერთი სიტყვით ჩვენი მტრების მთელ ოჯახს.

ჩვენი მთავრობა ზემოხსენებულ მტრებს ჯერ ლოიალურათ და თავაზიანათ ეპყრობოდა, ეგონა, რომ იგინი გონს მოვიდოდენ და თავიანთ მართლა კონტრ-რევოლიუციონურ, ქართველი დემოკრატიისათვის დამღუპველ მოქმედებაზე ხელს აიღებდენ, მაგრამ ამათოთ,—მათთან საბრძოლველათ ეს საშუალება მეტათ მსუბუქი და პოლიატიკური გამოდგა, რის შემდეგ ჩვენი მთავრობა იძულებული იყო იარაღით დაეცვა ნორჩი სახელწიფო და რევოლიუციის მონაპოვარი ბოლშევიკების განადგურებიდან. ეს საშუალება, ასე ვთქვათ, რადიკალური გამოდგა: ჩვენი მებრძოლ-რევოლიუციონერების წყალობით დღეს თითქმის ჩაქრა ანარქიის ცეცხლი, მაგრამ მისი ბუდე „ბოლშევიზმი“ ჯერ ძირიანათ მაინც არ არის მოსპობილი; მთავრობა კვლავ განაგრძობს „ბოლშევიზმისა“ და მისი ხელმძღვანელების წინაამდეგ ბრძოლას; ამ ჟამათ ციხეში არიან ჩვენში კარგათ ცნობილი ბოლშევიკი ბუდუ მდივანი, ის. თალაკვაძე, ალავერდოვი და სხვანი, რომლებმაც 19 ამა თვეს სიმშილობა გამოაცხადეს.

ამ „სიმშილობამ“ ალაპარაკა სათნოებით მოცული „ზნამია ნაროდა“, რომელიც ესარჩლება „საცოდავ“, „უდანაშაულოთ დასჯილ ტუსაღ ბოლშევიკებს, ბრალსა სდებს მთავრობას და რიხიანათ ბრძანებენ მიუდგომელი „ზნამიელები: „გვაკვირვებს, რატომ მთავრობა არ აქცევს ყურადღებას პოლიტიკურ დატყვევებულთ, რომლებიც იძულებულნი იყვნენ, ადმინისტრატიულ თვითნებობის გამო სიმშილობისათვის მიემართათ“. შემდეგ გაზეთი მოუწოდებს დემოკრატიას და პოლიტიკურ წრეებს, რათა აღიმაღლონ ხმა მართველობის ასეთი სისტემის წინაალმდეგ და მიიღონ ზომები დატუსაღებულთა განსათავისუფლებლათ. თუ რაში გამოიხატება „ადმინისტრატიული თვითნებობა“ ამის შესახებ „ზნამიელი“ ულმობელი მსაჯულები კი არას ამბობენ. ბ. თარხანოვმა და თუმანოვმა ამ „სიმშილობის“ გამო შეკითხვაც კი შეიტანეს საქართველოს პარლამენტში. შეკითხვის ავტორები დიდ სანტიმენტალობას და სიბრალულს იჩენენ, აბრაამის ბატკანივით „უდანაშაულოთა“ დასჯილ პოლიტიკურ ტუსალებისადმი. შეკითხვის ავტორები, სხვათა შორის, აღნიშნავენ შეკითხვაში, რომ სიმშილის ნიადიგზე დატუსაღებულთა ავადმყოფობასაც კი ჰქონდა ადგილიო და ეკითხებიან მთავრობას: იცით თუ არა ყოველივე ამის შესახებ და თუ იცით რა ზომები მიიღე-

თო. პარლამენტმა ამ შეკითხვის საჩქაროთ გარჩევა უარ-ჰყო. მთავრობაც ალბათ ჯეროვან პასუხს გასცემს ამ შეკითხვას.

ყოველი ტუსაღი, პოლიტიკური იქნება ის თუ არა, თავს დანაშაულათ არა სთვლის და ყოველთვის წყევლა-კრულვით იხსენებს თავის დამტუსაღებელს,—ასეთია საერთო პსიხიკა ტუსაღისა. რაც შეეხება ხსენებული ტუსაღების წინააღმდეგ ბრალდების წამოყენებას, შინაგან საქმეთა მინისტრმა მათ უკვე ჩააბარა საბრალდებლო დადგენილება, სადაც ცხადათ არის ნათქვამი, რომ, იმ ცნობების მიხედვით, რომელიც სამინისტროს ხელთა აქვს, მათ ბრალი ედებათ ბოლშევიკურ გამოსვლებში. არის თუ არა ეს ბრალდება საკმარისი, ამას ჩვენზე უკეთ აღნიშნავს რუსეთის რევოლიუციის მემატიანე.

„ზნამიელებისათვის“ სხვის „სჩოტზე“ სანტიმეტალობა და ჰუმანიური გრძნობის განხორციელება, რა თქმა უნდა, ადვილი საქმეა.

გ.

## ბორჯომის მინერალური წყლები

(მჟავე წყლის კაპტაჟი და მისი შემადგენლობა)

II.

ბორჯომის მჟავე წყლები ნახშირ-მჟავიან-ნაცარ-რწმულიან წყლების (углекисло-щелочныя воды) ჯგუფს ეკუთვნის: ის დედამიწის გულიდან, ნაპრალებიდან ამოდის, საიდანაც თავის დიდ ტემპერატურას ინახავს ზევით ამოსვლამდის; 1849 წლიდან 1891 წლამდის ეკატერინეს წყაროს წყალი რვა კუთხიან ქვის რეზერვუარში გროვდებოდა, სიღრმით 4 ალაბი, დიამეტრით 2,5 ალაბი, სადაც 845 ვედრო წყალი თავსდებოდა; ამ რეზერვუარის ძირი ქვით იყო მოფენილი და შუაში ჰქონდა ნახვრეტი სივრცით ერთი ოთხკუთხი ალაბი, საიდანაც ამოქუხდა მინერალური წყლის გრიფონი; წვიმების დროს ან თოვლის დადნობის შემდეგ, მდინარის „ბორჯომკას“ წყალი, რომლის ნაპირზე არის მინერალური წყარო და დედამიწის შიგ მდგარი წყალი ერეოდა მინერალურ წყალს; ან და როცა დედამიწის შიგ მდგომი წყლის სიმაღლე დაიწეოდა, მინერალური წყალი გაიპარებოდა რეზერვუარის ძირიდან ან გვერდებიდან; ერთი სიტყვით წყლის რაციონალური კაპტაჟი არ არსებობდა; ამის და მიხედვით წყლის დებეტი და მისი შემადგენლობა ყოველთვის იცვლებოდა, ასე მაგალითად 1868 წელს ეკატერინეს წყარო დღე და ღამ იძლეოდა მხოლოთ 2,435 ვედრო წყალს; 1888 წელში—4,320 ვედროს; 1891 წელს კაპტაჟის გაკეთების წინ 2,870 ვედროს; მხოლოთ 1891 წელს სამთო ინჟენერმა კონშინმა ეკატერინეს წყაროს რაციონალური კაპტაჟი შეასრულა; კაპტაჟის მიზანი შემდეგი იყო: 1, გამონახვა წყლის ნაკადის ძირათადი ნაპრალის 2, დაცვა ამ ნაკადის სხვა გარეშე წყლების შერევისაგან და აგრეთვე ჰაერისა და სინათლისაგან; 3, გამოყვანა მინერალური წყლის ბუნებრივი ძალით იმ სიმაღლემდის და იმ პუნქტებში, სადაც ის პირდაპირ იხმარებოდა, როგორც ვანებისათვის, ისე ბოთლებში ჩასასხმელათ და სხვა; ყველა ეს მიზნები 1891—92 წლების კაპტაჟით განხორციელდა; ამით მინერალური წლის დებეტი გაიზარდა: 2,880 ვედროდან 6,500 ვედრომდის ავიდა; წყლის შემადგენლობაც, როგორც არა-ერთხელ დაამტკიცა ანალიზებმა შეიცვალა ისე, რომ წყლის მინერალიზაცია გადიდდა; აღსანიშნავი კიდევ ისაა, რომ ზემოხსენებული თვისებები წყლის მთელი 20 წლის განმავლობაში დღემდის თითქმის უცვლელია; ამ გარემოებამ ძალიან ასწია ზევით ბორჯომის წყლის რეპუტაცია და წყლის ექსპორტი და ექსპლუატაცია თითქმის ათჯერ გაიზარდა; ევგენიევის წყაროს კაპტაჟი კი 1904 წელს შეასრულა იმავე ინჟ. კონშინმა, რამაც იგივე შედეგები გამოიღო, როგორიც პირველმა კაპტაჟმა; ბოლოს 1912 წელს, როცა ახალქალაქის მიწის ძვრა მოხდა და ეკატერინეს წყაროს კაპტაჟის მდგომარეობა საშიშარი შეიქნა იმავე ინჟ. კონშინს მიანდვეს მისი დაცვა; ამ მიზნით მან კაპტაჟის ჰის ან სვეტის ირგვლივ შემოარტყა ბეტონის ჩარჩო, რომლის დიამეტრი 10 საჟნამდის არის, ასე რომ დღეს ეს წყარო უზრუნველყოფილია ყოველივე შემთხვევისაგან და მისი წყლის დებეტი და მინერალიზაცია დიდათ გადიდებულია უწინდელთან შედარებით; მხოლოთ უნდა ავღნიშნოთ, რომ ამ მუშაობის დროს ინჟ. კონშინმა აღმოაჩინა კიდევ ოთხი პატარა წყარო, სამი-ოთხი საჟენის მანძილზე ეკატერინეს წყაროდან, რომლების ტემპერატურა და მინერალიზაცია ეკატერინეს წყაროს შედარებით ნაკლებია და მათი კაპტაჟი ცალ-ცალკე შესრულა, რაც ნომრებით დაჰყო; აღსანიშნავია კიდევ, რომ როცა ეკატერინეს წყაროს წყლის სიმაღლე სვეტში აიწევს ამ პატარა წყაროების წყლის მინერალიზაცია იმატებს და ეკატერინეს წყლის კი იკლებს, ეს მოვლენა სახიფათოა, რადგანაც ეკატერინეს წყალი შეადგენს დღესდღეობით ექსპორტის და ექსპლუატაციის საგანს და ამისათვის ეკატერინეს წყაროს კაპტაჟს დიდი მოვლა ‹› თვალყურის დევნა უნდა სპეციალისტის მხრით, რომელსაც ამ წყაროების მოვლა-პატრონობა ჩაბარებული ექნება.

როგორც ზევით ვსთქვით თავისი ქიმიური შემადგენლობით ბორჯომის წყლები ნახშირ-მჟავიან ნაცარ-რწმულიან წყლების ჯგუფს ეკუთვნიან; უკანასკნელი წლების გამოკვლევებმა ნათლათ დაამტკიცეს, რომ ეკატერინეს წყაროს წყალი ძალიან წააგავს „გრანდ-გრილის“ წყაროს წყალს ვისში; ევგენიევის წყაროს წყალი კი „ობერცალზბრუნენის“ წყაროს წყალს სილეზიაში.

ეკატერინეს წყაროს წყალი კარგათ მოქმედობს ნაწლევების, ჰაჰების და კუჭის ხრონიკულ ავათმყოფებზე და სხვა; ევგენიევის წყალი კი, სადაც მეტია ნახშირ-მჟავიანი რკინის სიმჟავე (двууглекислый закал желѣза) განსაკუთრებით მოქმედობს სისხლნაკლულებზე და ნერვებ-აშლილებზე; კლინიკურმა დაკვირვებებმა დაამტკიცეს, რომ ბორჯომის წყლები შორს მანძილზე გადატანილი არ კარგავს თავის სამკურნალო თვისებებს, თუ ისინი საკმაოთ გაჟღენთილია გაზით, მხოლოდ ჭეშმარიტებაა, რომ ადგილზე თვით წყაროებთან მათ მოქმედება მეტათ უფრო სასარგებლოა; არსებითი განსხვავება ბორჯომის წყლების საზღვარ-გარეთის იმავე ჯგუფის წყლებისაგან ის არის, რომ ბრრჯომის წყლებში არ არის გოგირდ-მჟავიანი მარილები (сѣрнокислыя соли); რაც სუსტ კუჭიანებზე ცუდათ მოქმედებს, მეორე განსხვავება ბორჯომის წყლებისა ის არის, ოომ მათში მეტი რკინა ურევია, რაც კუჭს და ნაწლავებს ამაგრებს; ეკატერინეს წყაროს ქიმიური შემადგენლობა 1913 წლის ანალიზით შემდეგია:

| | |
|---|---|
| ხლორის კალი | 0,0680 |
| „ ნატრი | 0,6006 |
| ბრომის ნატრი | 0,00084 |
| იოდის „ | 0,00041 |
| ნახშირმჟავ. ნატრი | 4,7156 |
| „ კირი | 0,4894 |
| „ მაგნი | 0,3022 |
| „ სტრონცი | 0,01349 |
| სიმჟავე რკინის | 0,00934 |
| სილისი | 0,0288 |
| ორგანიული ნივთიერება | 0,0038 |
| ჯამი მაგარი ნივთიერება | 6,2976 |
| თავისუფალი ნახშირ-ბადის გაზი | 1,1572 |
| წყლის საშუალო ტემპერატურა | 29,9 °C. |

წყლის დებეტი 6200—6600 ვედრო დღე და ღამე და გაზის დებეტი 65,000 ლიტრა; რაც შეეხება ევგენიევის წყაროს მისი დებეტი უფრო ნაკლებია, ვიდრე ეკატერინესი (700—1600 ვედრომდის). ტემპერატურაც საშუალოთ 22°C და ნაკლებია მასში ნახშირბადის გაზიც.

ინჟ. ივ. მეძმარიაშვილი.

## ფოთის ნავთსადგურის შესახებ

(ოფიციალური განმარტება)

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ № 71, სახელდობრ პრესის მიმოხილვაში მოთავსებულია „სახალხო საქმედან“ ამოღებული ბ-ნ ფირცხალავას შენიშვნა, რომელიც შეეხება ფოთის ნავთსადგურის მოუწყობლობას და ადგილობრივ საბაჟოს არა მიზან-შეწონილ მოქმედებას მგზავრთა ვინაობის გამორკვევაში და საქონლის გასინჯვა-აღნუსხვაში; ამის შესახებ სარევიზიო კომისია, რომელსაც ი. ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრმა მიანდო ფოთის ნავთ-სადგურის მოუწესრიგებლობის მიზეზთა გამორკვევა და ამა უწყებაში უწესოების ლიკვიდაცია, ოფიციალურად აცხადებს: ფოთის ნავთსადგური კომისიის წასვლამდე მართლაც არა სანატრელ მდგომარეობაში იმყოფებოდა. გამოარკვია რა კომისიამ ყველა დეფექტები ნავთსადგურის გამგეობის მოქმედებისა, შეიმუშავა სახელმძღვანელო ინსტრუქცია და მიიღო რადიკალური ზომები ნავთსადგურის საქმეების ნორმალურ კალაპოტში ჩასაყენებლად. რაც შეეხება ბ-ნ ფირცხალავას შენიშვნას, ვითომც მოსულ მგზავრებს და საქონელს საბაჟოს მოხელენი ვერ სინჯავდნენ რიგიანად, კომისიას ჰგონია, რომ ამ შემთხვევაში პატივცემული პუბლიცისტი უნდა შეეყვანა შეცდომაში საქმის ტეხნიკურ მხარეს, ვინაიდან რევიზიამ გამოარკვია შემდეგი:

1. საზღვარ-გარეთიდან ჩამოსულ მგზავრების ბარგი და საქონელი იგზავნება საბაჟოს საწყობში, სადაც ისინჯება, აღინუსხება და იბაჟება.

2. ფოთიდან წამსვლელი მგზავრების ბარგი ისინჯება ნავთსადგურის ნაპირზედ.

3. საზღვარ-გარეთ იგზავნება საქონელი, თანახმად პატრონისაგან შემოტანილ დაწესებული ფორმის განცხადების ძალით, თუ, რასაკვირველია, ამასთანავე იგი წარმოადგენს ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრის მიერ მიცემულ მოწმობას.

4. გემების მართველებს ერთმევათ ჩვენება გემთა ზედამხედველის და მის თანაშემწეების მიერ.

5. საბაჟოში ჩვენების შემოტანიდან თავისუფლდებიან სამხედრო გემები.

6. ის სამხედრო გემების უფროსნი, რომელთა გემებით უმეტეს შემთხვევაში ჩამოდიოდენ მგზავრები, წინად არ არდგენდენ მგზავრთა სიას, რადგან არ ემორჩილებოდნენ საბაჟოს, როგორც გერმანელ დროშის ქვეშ მყოფნი; ამ ბოლოს დროს-კი, გარნიზონის უფროსის განკარგულებით, აღნიშნული სიები შემოღებულია, მხოლოდ მგაზვრების პიროვნებათა და მათი პასპორტების შემოწმება დავალებული აქვს არა საბაჟოს, არამედ გარნიზონის მიერ დანიშნულ პირებს.

ყველა გემს, როგორც გასულს, აგრეთვე შემოსულს გარდა 7—8 დარაჯისა სინჯავს არა ნაკლები 5 მოხელისა, რომელთა რიცხვის შემცირება ბ. ფირცხალავას მიერ, ალბად იმითაა გამოწვეული, რომ მოხელეებს მათდა დამოუკიდებელ მიზეზთა გამო, ამ უკანასკნელ დროს, არა აქვთ საშუალება ატარონ ფორმის ტანისამოსი. შემოსული საქონელი და მგზავრთა ბარგი რიგიანათ რომ არ ისინჯებოდნენ საბაჟოს მიერ, იგი სამ თვეში ვერ შესძლებდა მიცემას ხაზინისთვის წმინდა შემოსავალს 744,370 მან. 61 კაპ. რაც შეეხება კონტრაბანდას მას ყოველთვის ყოველ ქვეყანაში ჰქონია ადგილი და დღეს-დღეობით ფოთშიც არ არის მოსპობილი, მაგრამ არა იმ ზომით, რანაირათაც ბ. ფირცხალავა პესსიმისტურად გამოხატავს მას. ამ ბოროტმოქმედების შესასუსტებლად საბაჟოს მიერ მიღებულია რადიკალური ზომები; სამი თვის განმავლობაში მოხელეთა ენერგიული მუშაობით დაჭერილია კონტრაბანდული საქონელი, ღირებულებით 26,321 მან. 60 კაპ., რომელზედაც კონტრაბანდისტებს საბაჟომ ჯარიმა გადაახდევინა 37,652 მან. 56 კაპ., ამასთანავე კომისია აღნიშნავს საბაჟოს მოხელეების განსაკუთრებულ ენერგიას, რომელთაც, მიუხედავათ არსებული მძიმე ცხოვრების პირობებისა, ხშირად ავიწყდებათ თავიანთ პირადული ინტერესები და პატიოსნური შრომით სცდილობენ რაც შეიძლება მეტი სარგებლობა მოუტანონ სამშობლოს.

კომისის თავმჯდომარე **ბ. მიქაძე.**

## მთავრობაში

ხუთი ივლისის კანონის განმარტება. ხსენებული კანონის მესამე მუხლის მეორე დამატებითი შენიშვნა ამბობს: „იმ პირს, რომელსაც ხაზინიდან ეძლევა პენსია ან სხვა საპენსიო დახმარება, უფლება ეკარგება ამ მუხლში მოხსენებულ ჯილდოს მიცემისა“. შრომის სამინისტრომ ხსენებულ კანონის მეხუთე მუხლის ძალით გამოსცა ინსტრუქცია, საცა ასეთი განმარტება მისცა ხსენებულ შენიშვნას: „იმ პირთ, რომელთაც აქვთ უფლება პენსიაზე ან სხვა საპენსიო დახმარებაზე, უფლება ეკარგებათ იმ ჯილდოზე, რომელიც მოხსენებულ კანონის მესამე მუხლშია შეტანილი, და რჩებათ მიღების ნება ჯილდოსი ხუთი ივლისის კანონის მეორე მუხლის მიხედვით. წარმოიშვა გაურკვევლობა იურიდიული რამოდენიმედ: კანონს აქვს მხედველობაში ფ ა ქ ტ ი პენსიის ძლევისა, ინსტრუქციას კი უ ფ ლ ე ბ ა პენსიის მიღებისა. მთავრობამ ეს გაურკვევლობა ახსნა შემდეგი დადგენილებით: ა) შტატ-გარეშე დარჩენილ მოხელეს, რომელსაც პენსია დაუმსახურებია და პენსია ჯერ ვერ მიუღია, აქვს უფლება სალიკვიდაციო ფულის მიღებისა; ბ) ხოლო თუ ასეთმა მოხელემ სალიკვიდაციო ფული მიიღო, იმ შემთხვევაში იგი ჰკარგავს უფლებას პენსიის მიღებისას.

—

სასახლის გამგემ წარუდგინა მთავრობას შემდეგი აუცილებელი ხარჯები: 1) მოსამსახურეთა ოქტომბრის ჯამაგირები 23.000 მან.; 2) ოთხი ყუთი ფანჯრების შუშა 4,000 მან.; 3) სამი ყუთი შუშა ყვავილნარისათვის 3,000 მან.; 4) სატეხნიკო მასალა: ფილტრებისა და წყალსადენისა, კლოზეტებისა, კარ-ფანჯრებისა და სახურავებისათვის, კედლების შეთეთრება, მილების შეღებვა და სხვა წვრილმანი ხარჯი 15,000 მან.; 5) შეშისათვის ფული—8,750 მან. მთავრობამ შეიწყნარა უწყებული თხოვნა და დაადგინა მიეცეს სასახლის გამგეს ათ-მილიონიან ფონდიდან ავანსად (სმეტის ანგარიშში) ორმოცდა ათი ათასი მან. სასახლის საჭიროებათა დაკმაყოფილებისათვის.

—

ამა წლის ივლისში წითელი გვარდია და ქართული პირველი რაზმი ყოფილან ტაბახმელაში ყაზაროვისა და შანშიევის აგარაკზე ყოფნის დროს ხსენებული აგარაკი დაზარალებულა; მეპატრონეებმა აღძრეს შუამდგომლობა ზარალის ასანაზღაურებლად მიეცეთ მათ თერთმეტი ათასი მანეთი; მთავრობამ უარჰყო შუამდგომლობა, რადგან მთხოვნელებს სასამართლოს გზით შეუძლიათ ზარალის ანაზღაურება.

—

ფინანსთა სამინისტრომ შეიტანა მთავრობაში მოხსენება „გადაგზავნის“ („პერევოდის“) შესახებ. დღესდღეობით გადაგზავნის მიცემა მინიმუმამედა დაყვანილი; უკრაინაში და რუსეთში უმრავლეს შემთხვევებში გადაგზავნებს არ ანაღდებენ; სომხეთიდან და ადერბეიჯანიდან გადაგზავნა არ იღება; ყველა ამ გარემოებათა მიხედვით საჭიროა შეჩერებულ იქნას გადაგზავნა უცხო სახელმწიფოებთან კონვენციურ შეთანხმებამდე. მთავრობამ მიიღო ფინანსთა მინისტრის წინადადება და დაადგინა, რომ შეჩერებულ იქნას უცხოეთიდან მოსული გადაგზავნის განაღდება ვიდრე უწყებულ სახელმწიფოებთან კონვენციური შეთანხმება მოხდებოდეს; ფინანსთა მანისტრს ეძლევა უფლება კერძო შემთხვევებში გამონაკლისი მოახდინოს.

—

მიწათ - მოქმედების სამინისტრომ აღძრა შუამდგომლობა მთავრობის წინაშე, რომ მას ნება მიეცეს გაჰყიდოს ის ტყის მასალა, რომელიც მან ტფილისის ქალაქის გამგეობას მიჰყიდა და რომლის ფასიც უკანასკნელს ჯერ არ გადაუხდია. მთავრობამ დაადგინა: 1) რაიც საჭირო არის უწყებული ტყის მასალიდგან ფოსტისა და რკინის გზისათვის, დარჩეს გაუყიდველი სათანადო უწყების განკარგულებაში; 2) დანარჩენისათვის ქალაქის გამგეობას მიეცეს ერთი კვირის ვადა ფულის გადახდისათვის; 3) თუ ამ ხნის განმავლობაში ქალაქის გამგეობამ ფული არ გადაიხადა, იმ შემთხვევაში ნება მიეცეს მიწათ-მოქმედების სამინისტროს გაჰყიდოს უწყებული მასალა ტყისა შეფასებით; 4) შესდგეს დაუყონებლივ კომისია მიწათ - მოქმედების, გზათა და შინაგან საქმეთა სამინისტროების წარმომადგენელთაგან, მიწათ-მოქმედების სამინისტროს წარმომადგენელის თავმჯდომარეობით, ზემოხსენებულ დადგენილებათა სისრულეში მოსაყვანად.

ტფ. გუბერნიის—კომისარმა წარმოუდგინა შინაგან საქმეთა მინისტრს დაწვრილებითი სია იმ საგანძურისა, რომელიც ეკუთვნოდა ყოფილ ლეიბ-გრენადერთა ერევნის პოლკს და რომელიც 18 ამა ოქტომბერს ბორჩ. მაზრის სოფ. დიდ-თონეთიდან ჩამოიტანა სასოფლო კომისიის რწმუნებულმა ვ. კაკაბაძემ.

—

გზათა სამინისტროში დღეიდან მუშაობა დაიწყება დილის 10 საათიდან და 4 საათამდე გასტანს.

—

იუსტიციის მინისტრის მოხსენების თანახმად მთავრობამ დაადგინა გადაიდოს 468497 მან. 50 კ. ქუთაისის გუბერნიის ციხეთა შესანახათ ამ წლის დამლევამდე.

—

ფინანსთა სამინისტრომ დაამთავრა განხილვა მთელი წყება კანონ-პროექტებისა, რომელიც ეხება გადასახადთა გადიდებას იმ საქონელზე, რომელიც მეტად საღდება. ხოლო პირველ მოთხოვნილების საქონელთა დარგს კი არ ეკუთვნის.

—

მიწათ-მოქმედების მინისტრმა მთავრობას წარუდგინა კანონ-პროექტი მის შესახებ, რომ რაც საქართველოში მიწა-წყალი, შენობები, უძრავ-მოძრავი ქონება ეკუთნოდათ მეფედ ყოფილ რომანოვის სახლობის ჩამომავლობას, გადაეცეს საკუთრად საქართველოს რესპუბლიკას.

—

საქართველოს მთავრობა შეეკითხა სომხეთის დიპლომატიურ წარმომადგენელს ბ-ნ ა. ჯამალიანს შეატყობინოს სადა და რამდენი იარაღის და საომარ მასალის საწყობები აქვს საქართველოს ტერიტორიაზე, რომელიც ეკუთვნის სომხების ჯარის ნაწილებს.

—

საქართველოს მთავრობამ ნება დაართო კავკავიდან ტფილისში ჩამოსვლისა საფრანგეთის ვიცე-კონსულს და ინგლისის სამხედრო მისიის წევრებს, რომელნიც ამას წინათ ბოლშევიკებს დაუპატიმრებიათ ჩრდილოეთ-კავკასიაში და შემდეგ გაუშვიათ.

—

მთავრობის რწმუნებულს ბორჯომში ამხ. რუხაძეს შემდეგი დეპეშა გაუგზავნა შინაგან საქმეთა სამინისტროს დირექტორმა: „აწყურიდან ახალ - ქალაქის ლტოლვილები დეპეშით იტყობინებიან, რომ 3000 სულამდე მომწყვდეულნი აწყურის რაიონის ტყეში უკიდურეს განსაცდელში არიან ჩაყე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნებულნი და ყოველ დღე 40 სულამდე კვდება სიცივე სიმშილის გამო. გაცნობებთ რა ამას, მიიღეთ თქვენზე დამოკიდებული საჭირო ზომები აღნიშნული ლტოლვილების უნუგეშო მდგომარეობიდან გამოსაყვანად.

---

სომხეთის დიპლომატიურმა წარმომადგენელმა ბ-მა ჯამალიანმა საქართველოს მთავრობას თხოვნით მიმართა მის შესახებ, რომ მთავრობამ მას ნება დართოს საქართველოში 1,000 ფუთი ფქვილისა და 1,000 ფუთი ქერხლის ყიდვისა და ერევანში გაგზავნისა სომხეთის სამხედრო უწყებისათვის.

---

შინაგან საქმეთა მინისტრი ნ. ვ. რამიშვილი კახეთიდან ტფილისში დაბრუნდა.

# დეპეშები.

## ომი.

ბერლინი. 25 ოქტ. დასავლეთის ფრონტი. კრონპრინც რუპრეხტის არმია. ფლანდრიაში მდინარე ლისის ხეობით ბრძოლა გრძელდება. მტერი, რომელიც შემოიჭრა დეიზეს სამხრეთ ნაწილში, განვდევნეთ. დეიზეს სამხრეთ-დასავლეთით ჩვენ დავიჭირეთ მდინარე ლისის გამოღმა ხიდის სიმაგრე. ვივენილუას აღმოსავლეთით, შელდასა და ლისის შუა, ჩვენ მოვიგერიეთ მტრის ძლიერი იერიშები. ნგრევა-განადგურება შელდის სანაპირო დაბა-ქალაქებისა მტრის მიერ გრძელდება. ინგლისელებმა ზარბაზნები დაუშინეს აგრეთვე ქალაქ ტურნეს. ხალხი ამ ადგილებიდან ჩრდილოეთით გამორბის. სოლემისა და ლე-კატოს აღმოსავლეთით ინგლისელებმა იერიში განაახლეს და დაიჭირეს სივრცე შელდამდე, ხოლო შელდის სამხრეთით ჩვენი სანგრების წინ ეკეიონბახის მაღლობებში დამარცხებულ იქნენ. ლე-კუსნუას მხრით მომართული იერიშებით მტერმა მოაღწია რკინის გზამდე ლე-კესნუას ჩრდილო-დასავლეთით და დასავლეთის მხრივ. მტრის ცდა, გაჰრილიყო ლე-კესნუას ჩრდილოეთით ჩვენ ჩავშალეთ. მორვალის ტყის პირად მებრძოლმა მტრის ჯარმა შესძლო შემოჭრა პუა-დიუ-ნორსა და ფონტონ-ა-ბუაში. გარდა ამ პუნქტებისა მტერი შეჩერებულ იქნა ენგელხონტენ-ლანდრესის დასავლეთით. გუშინწინდელი ბრძოლის დროს მტერმა წამოიწია 800—1000 მეტრით წინ. დიდ შედეგს, მიუხედავად გააფთრებული იერიშებისა, მტერმა ვერც გუშინ მიაღწია.

გერმანიის კრონპრინცის არმია. მდინარე უაზზე, სერზე და ენის დასავლეთით დროგამოშვებითი საარტილერიო ბრძოლაა. უაზაზე დამარცხებულ იქნა მტრის მცირე იერიშები. მდ. უაზაზე და ნურეს შუა მოგერებულ იქნა ფრანგთა ძლიერი იერიშები. მტერი, რომელიც შემოიჭრა ჩვენს სანგრებში, კონტრ-იერიშებით უკუგდებულ იქნა. ვუზიერის ორივე მხრით ბრძოლა განელდა. შესტრის აღმოსავლეთით მდებარე მაღლობი, მიუხედავად მტრის იერიშებისა, ჩვენ შევინარჩუნეთ.

გალვიცის არმია. ამერიკელთა მცირე იერიშები, მაასის ორივე ნაპირით, მოგერებულ იქნა.

სამხრეთ-აღმოსავლეთის ფრონტი. მორავის ორივე მხარეზე მტერს იერიშები მოაქვს. მდინარის დასავლეთით მტერმა უკან დაგვახევია კრაუგევაცის მთის სამხრეთით. მდინარის აღმოსავლეთით პერსინის მხარეს კი მტერს ჩვენ დავახევინეთ.

### კანცლერის სიტყვა.

ბერლინი. 23 ოქტ. სამშაბათს 22 ოქტ. გერმანიის კანცლერმა რეიხსტაგში შემდეგი სიტყვა წარმოსთქვა: ბატონებო, მას შემდეგ, რაც თქვენთან პირველათ ვილაპარაკე, უკვე გადავდგით შემდეგი ნაბიჯები სამშვიდობო მოლაპარაკების საქმეში, თანახმად გერმანიის ახალი მთავრობის განმარტებისა. პირველათ პრეზიდენტ ვილსონის კითხვები მოგვივიდა. ჩვენმა არა ორჭოფულმა და ნამდვილმა პასუხმა გამოიწვია ვილსონის ახალი კითხვები. ჩვენი პასუხი ამ შეკითხვაზე გუშინ გამოქვეყნდა. ბატონებო, გერმანიის ხალხს სურს მოისმინოს, თუ როგორი პერსპექტივები აქვს მთავრობას ზავის შესახებ. თქვენ გესმით, რომ მე შემიძლია შევეხო ამ საკითხს, მხოლოდ დიდი სიფრთხილით: ყველა პარტიას ერთნაირად სურს იკამათოს ამ საკითხზე იმ სიფრთხილით, რომელსაც მოითხოვს მომენტის სერიოზულობა. აქ თვით გერმანიის ხალხი მიმართავს პრეზიდენტ ვილსონს, და ამიტომაც დიდი ღირებულობა აქვს აქ წარმოდგენილ პარტიათ შეხედულობას. პირველმა პასუხმა, რომელიც გერმანიის საზავო წინადადებაზე პრეზიდენტმა ვილსონმა მოგვცა, ყველა ქვეყნებში დიდი კამათი გამოიწვია, თუ როგორი უნდა იქნეს ზავი: დამყარებული უფლებაზე თუ ძალაზე. ამის გარშემო ბევრს კამათობენ შეთანხმების სახელმწიფოებში და ეს აუცილებელი იყო ჩვენშიაც. ერთის მხრით, ხმა მაღლა ლაპარაკობენ ისინი, ვინც ფიქრობს, რომ მოახლოვებულია მომენტი, შურის ძიებისა და და გერმანიის დამცირებისა. მეორე მხრივ ცოცხალია ის პარტია, რომელიც ემყრობა ერთა კავშირის პრინციპს, რაც მტკიცდება იმ ფაქტით, რომ ამ ახალს სიმბოლოს სარწმუნოებას ყოველის მხრით თავს ესხმიან. ვიდრე ,რომელიმე სახელმწიფო, ან ჯგუფი სახელმწიფოთა ბიჯს გადასდგამს სხვა ერის საწინააღმდეგოთ, რისთვისაც ის დაემყარება უხეშ ძალას, უნდა მიღებულ იქნას ნამდვილი და გადამწყვეტი ზომა, რომელმაც უნდა მიგვიყვანოს ხელშეკრულობამდე შეთანხმების გზით და ამით მივაღწიოთ ზავს დღევანდელ საერთაშორისო მდგომარეობის დროს. პრეზიდენტ ვილსონის ნოტას მდგომარეობა სრულიად არ გამოურკვევია. შესაძლოა პრეზიდენტის უკანასკნელმა პასუხმა შესძლოს ეს. იმ დრომდე კი, ბატონებო, ჩვენ გონივრულად მოქცევა გვმართებს და ყოველგვარ პირობებში მზად უნდა ვიყვნეთ შევხვდეთ მოსალოდნელ ალტერნატივას.

ჩვენს მოწინააღმდეგეთ სურთ განაგრძონ ომი ჩვენ მეტი რა გვრჩება, რომ მოვიკრიბოთ მთელი ჩვენი ძალღონე და თავი დავიცვოთ. თუ ეს ჩვენთვის აუცილებელი შეიქნა, მაშინ გერმანიის მთავრობას გერმანიის ხალხის სახელით შეუძლიან ილაპარაკოს ერის დაცვაზე, ისე, როგორც უფლება ჰქონდა გერმანიის ხალხის სახელით ელაპარაკა, როცა სამშვიდობო ნაბიჯებს სდგამდა. აღმსარებელი პრინციპისა: „ზავი უფლებაზე დამყარებული“ დროებით თავის თავზე კისრულობს მოვალეობას, არ მიიღოს წინააღმდეგობის გაუწევლად ძალაზე დამყარებული ზავი. მთავრობა, რომელიც არ უფრთხილდება ასეთ მდგომარეობას, გერმანიის ერის მეომართა და მუშათა ზიზღს დაიმსახურებს და საზოგადოებრივმა აღშფოთებამ შესაძლოა მიწის პირიდან აღგავოს. მაგრამ, ბატონებო, ჩვენ არ უნდა გვავიწყდებოდეს არც მეორე დებულება თავისი მოსალოდნელი შედეგებით. გერმანიის ხალხს არ შეუძლიან თვალახვეული წავიდეს კონფერენციაზე. გერმანიის ერს უფლება აქვს იკითხოს: თუ ზავი იქნა მიღებული ვილსონის პირობათა საფუძველზე, რას მოუტანს იგი გერმანიის ნაციონალურ აწმყოსა და მომავალს. თუ გავითვალისწინებთ საზოგადოებრივ აზრს, გერმანიის ხალხი უფრო ფხიზლათ ეპყრობა გადადგმულ ნაბიჯებს ვილსონის შეკითხვაზე გერმანიის მიერ პასუხის გაცემის შემდეგ. დღეს იგი ყველაფრის გაშუქება-განმარტებას მოითხოვს. დიახ, ბატონებო, ეს ჩვენთვის ისეთი გადაწყვეტილება იყო, რომელმაც დიდი შედეგი მოიტანა. ჩვენი პოზიციის სიძლიერე იმისგან კი აღარაა დამოკიდებული, თუ რა მიგვაჩნია ჩვენ სამართლიანად, არამედ დამოკიდებულია ჩვენს კამათზე მოწინააღმდეგებთან, რომელნიც აღიარებულ იქნებიან სამართლიანათ. ეს კი დიდ თავგანწირულებას მოითხოვს გამარჯვებებს ჩვეულ და ამაყ ერისაგან. საკითხი, თუ რა არის უფლება, არ გადასწყდება ჩვენს საზღვრებთან, რომელსაც ჩვენ არავითარი ძალის წინაშე არ გავხსნით. პუნქტები, რომელიც ჩვენ მივიღეთ. ეხება აგრეთვე ჩვენს შინაურ ცხოვრებას. ბატონებო, მე მიპასუხეს, რომ ვილსონის პირობათა მიღება მოასწავებდა გერმანიის მორჩილებას მტრის ტრიბუნალის წინაშე, რომელიც ვადასწყვეტდა უფლების საკითხს თავისი ინტერესების თანახმად. ეს რომ ასე იყოს, მაშან რით აიხსნება ის ფაქტი, რომ მოკავშირე სახელმწიფოთა უკიდურეს ნაციონალ-ეგოისტებს ისე ეშინიათ კონფერენციის, როგორც დამნაშავეს სასამართლოსი. ვილსონის პროგრამის მთავარი პრინციპია „ხალხთა ლიგის“ პრინციპი. ეს არ განხორციელდება, თუ ლიგის ყველა მონაწილე ერმა მსხვერპლი არ გაიღო. უფლებათა ერთობა მოითხოვს, როგორც ჩვენგან, ისე ყველასგან, სრული დამოუკიდებლობის შეკვეცას. ამას ჩვენი მომავლისთვის დიდი მნიშვნელობა ექნება. ეს იქნება ის საფუძველი, რომლითაც ჩვენ, როგორც მთლიანი ნაცია განვითარების გზას დავადგებით. თუ ჩვენთა აზრთა მიმართულება არ შეიცვალა, ვერ მოვიცილებთ ნაციონალურ ეგოიზმის პრინციპს, რომელიც დიდი ხანი არაა რაც ერის მთავარს პრინციპს შეადგენდა. უამისოდ, ბატონებო, ჩვენი ცხოვრების გამომთელება და აღორძინება არ მოხდება. დარჩება მხოლოდ უიმაყოფილების გრძნობა, რომელიც ჩვენს შთამომავლობას დიდი ხნით მოუსპობს შემოქმედებითი უნარს.

# ახალი ამბები.

### ქალაქის გამგეობა

◯ ქალაქის გამგეობამ დაადგინა საერო გვარდიის უმთავრეს შტაბს მიეცეს 1,000 მან. მოკლულ გვარდიელის გიორგი აბრამიშვილის ქვრივის შემწეობის აღმოჩენისთვის.

◯ ქალაქის გამგეობამ დაადგინა ტრამვაის დირექტორს ინჟენერ მირველოვს ქალაქის საწყობიდან რკინის გზის მესამასე ვერსზე მიეცეს ტყის მასალა გასაცვლელად მანქანების წასასმელ ქონზე.

◯ ქალაქის სასწავლებლის საბჭომ არჩევნისა თანახმად ქალაქის გამგეობამ მასწავლებლებად დანიშნა ნ. ი. რამიშვილისა პირველ ვერისა და ვერის ქალთა სკოლაში სახელმწიფო (ქართულის) ენის მასწავლებლად და ე. პ. იანკოვსკაია პირველ უმაღლეს დასაწყის სასწავლებელში რუსულ ენის მასწავლებლად.

◯ ქალაქის გამგეობამ წინადადება მისცა, რომ სახელმწიფო კახურ ნაციონალურ მამულების ღვინოს, რომელიც ტფილისში იყიდება აქვე სასმელად, უნდა გადახდეს ქალაქის სასარგებლოდ დაწესებული ბაჟი და თუ ეს ღვინო ტფილისიდან გააქვთ გასასყიდად, მაშინ მას ბაჟი არ უნდა გადახდეს.

◯ ქალაქის გამგეობამ დაადგინა ქალაქის ყველა დასაწყის სკოლებში შემოიღონ სახელმწიფო (ქართული) ენის სწავლა დაბალ სკოლებში მესამე კლასიდან, ხოლო უმაღლეს დასაწყის სკოლებში კი ყველა კლასებში. რაც შეეხება ხარჯს, რომელსაც ეს საგანი გამოიწვევს (წლის ბოლომდე 4.767 მ. 50 კ.) ქალაქის გამგეობამ გადასწყვიტა დახარჯოს ამისთვის ის ფული, რომელიც გადადებული იყო სკოლებში მოსწავლეთათვის უფასო საუზმეების მოსაცემათ.

### რკინის გზაზე.

◯ საქართველოს რკინის გზის მართველობამ წინადადება მისცა რკინის გზის ადმინისტრაციას, ყოველივე დახმარება აღმოუჩინოს სამხედრო უწყების წარმომადგენელს, რომელიც ფოთში გაიგზავნა 20 ათას ფუთ ხორბლის ტფილისში გადმოსაზიდავად.

◯ გზათა სამინისტრომ შუამდგომლობა აღძრა შინაგან საქმეთა სამინისტროს წინაშე, რათა ის მანქანები, რომელნიც ნავთიან ადგილეაის საზურავათ არის სახმარი და იმყოფება ნადიროვის მამულში—ნავთლუღში გადატანილ იქმნეს რეკვიზიციის სახით. ნავთლუღიდან კახეთში ფხოველისა და ილდაყანის ნავთიან ადგილების საზურავად.

◯ პოლკოვნიკი აბესაძე დაინიშნა სამხედრო სამინისტროს ისტორიულ განყოფილების უფროსის თანაშემწეთ.

◯ ფოთის კომენდანტი ვახვახიშვილი გზათა სამინისტროს დეპეშით ატყობინებს შემდეგს: „რუსეთიდან დაბრუნებულნი ქართველი ლტოლვილნი უმეტეს შემთხვევაში ჩამოდიან ფოთში სრულიად უსახსროდ, ასე რომ ბილეთის ფულიც კი აღარ აქვთ. ეს მთელი ჯგუფი ლტოლვილთა გარდა იმისა, რომ სადგურზე მოძრაობას აფერხებს, შესაბრალ შთაბეჭდილებასაც ახდენს. მაგალითად 24 ამ თვეს თავი მოიყარა სადგურზე 200-მდე ქართველ ლტოლვილმა, მათ შორის 78 კაცს პურის ფულიც კი არ ებადათ. შებრალების გრძნობით შეპყრობილი მე ისინი კანონ გარეშე მუქთად გამოვისტუმრე ტფილისში. გთხოვთ ამიერიდან კანონის დარღვევის თავიდან ასაცილებლად ნება დამრთოთ სამგზავრო მატარებელზე მოუბათ ხოლმე მეოთხე კლასის ვაგონი ამ ლტოლვილთა მუქთად ან ფას დაკლებითი გადასაყვანათ“.

### ტელეგრაფი.

◯ ახალ-ქალაქის სომეხთა სათვისტომომ შუამდგომლობა აღძრა მთავრობის წინაშე ახალ-ქალაქის მაზრის ლტოლვილებს, რომელნიც წალკა-ბაკურიანში არიან დაბანაკებულნი, მიეცეთ უფლება სამშობლოში დაბრუნდენ.

### ადმინისტრაცია.

◯ საგანგებო რაზმმა თავის უფროსის მ. მ. კეიდიას მეთაურობით შეიპყრო სალამოს დეპეშის „ნოვოე სლოვოს“ რედაქტორი ალ. მუგდუსი-აკოფოვი და გამომცემელი მ. აკოფოვი ყალბი დეპეშების და ცნობების გავრცელებისათვის.

### თეატრი.

◯ დემოკრატიულ კლუბში „მუშტაიდში“ დღეს, 27 ოქტომბერს, კლუბთან არსებულ ქართულ წარმოდგენათა მმართველი წრე დამსახურებულ მსახიობ ვიქტორ გამყრელიძისა და პ. ფრანგიშვილის მონაწილეობით მართავს მორიგ წარმოდგენას. წარმოდგენილი იქნება დ. ერისთავის ცნობილი დრამა „სამშობლო“. ბილეთების ფასი სახალხოა. დასაწყისი 8 საათზე.

### ხელოვნება.

◯ საქართველოს სამუსიკო საზოგადოების გამგეობა მიმართავს ყველა გაზეთებს თხოვნით: რადგან დღევანდელი პირობები წარმოადგენს მხოლოდ ბრძოლას საუკეთესო ცხოვრების შექმნისათვის და, რა თქმა უნდა, გაზეთებს ადგილი არც კი ყოფნით მოათავსონ ყოველდღიური ცნობები, ვიღებთ მხედველობაში, რომ ყოველი გაზეთი, ცნობების მოყვანის გარდა, ცდილობს კულტურის განმტკიცებას, მორალურად აღზრდას, ამისთვის მოგმართავთ, რომ ყოველ დღე, თუნდ ცოტაოდენი ადგილი დაეთმოს თეატრსა და ხელოვნებას. მეტის ყურადღებით და სპეციალურად დადგეს ეს დარგი, რომ უფრო სოლიდარულად იყოს გაშუქებული არა როგორც გასართობი საგანი, არამედ როგორც ესტეტიური განსავითარებელი მხარე.

### სხვა და სხვა ამბები.

◯ ქალაქის გამგეობამ ქალაქი გაანაწილა ოთხ საბეითალო ნაწილათ და სამ ნაწილში ბეითლები დანიშნა. პირველ ნაწილში (ვერა, საბურთალო, მთაწმინდა) ბეითალი ჯერ არ არის დანიშნული. მეორე ნაწილში (სოლოლაკი, შუაბაზარი, იარმუკა, მეიდანი, ხარფუხი და ორთაჭალა) ბეითლად დანიშნულია ბ-ნი ოგანჯანოვი, მესამე ნაწილში (კუკია, დიდუბე, ნაძალადევი) დანიშნულია ბეითალი ბ-ნი ლანგი და მეოთხე ნაწილში (რიყე, ავლაბარი, ჩუღურეთი და ნავთლუღი) დანიშნულია ბეითალი ბ-ნი დე-ბრიუსსი.

◯ ძიძიშვილმა და პ. თუმანიშვილმა შუამდგომლობა აღძრეს განათლების სამინისტროს წინაშე, რათა 25 წლის იჯარით მიეცეთ მათ პირველ გიმნაზიის ის თავისუფალი ადგილი, რომელიც გოლოვინის პროსპექტზე გამოდის და გალავნითაა შემოზღუდული. ამ ადგილზე მათ განზრახული აქვთ აავონ 2 სართულიანი შენობა ქართული სტილით.

◯ კვირას, ოქტომბრის 27 ელექტრო ტეატრ „კინო სოიუზში“ ჟურნალისტი რ. ა. ტოლკაჩნიკოვი წაიკითხავს ლექციას: „რუს ოფიცრების ტრაღედია“. ლექცია დაიწყება დღის 12 საათზე.

◯ გზათა მინისტრის განკარგულებისამებრ 24 ოქტომბერს ბაქოში გაიგზავნა ტფილისიდან 50 ნავთის ვაგონები, რომელიც საქართველოს რკინის გზამ დროებით მიაქირავა ადერბეიჯანის მთავრობას.

◯ საქართველოს სასურსათო საბჭოსაგან საქონლის გამცვლელ კომიტეტში წარმომადგენლათ დროებით ამ საბჭოს თავმჯდომარის ამხანაგი ა. ი. ჯაფარიძე დაინიშნა.

# პარლამენტის ქრონიკა.

1918 წ. ოქტომბრის 25-ს სხდომა.

თავმჯდომარეობს ბ. თაყაიშვილი.

მდივანი აბაკელია კითხულობს სომხების დიპლომატიური აგენტის, ბ. ჯამალიანის დეპეშას, სადაც უკანასკნელი მადლობას უცხადებს პარლამენტის თავმჯდომარეს იმ განუზომელი კაცთმოყვარეობისათვის, რომელიც გამოიჩინა ბაქოს ქართველობამ ოსმალეთის შემოსევის დროს, აწიოკებულ სომეხ მცხოვრებთა დაცვაში. შემდეგ პრეზიდიუმის მდივანი კითხულობს დღის წეს-რიგს.

სიტყვა ეძლევა ბ-ნ თარხანიანს, რომელიც მოითხოვს, რათა მისსა და თუმანიანის მიერ შემოტანილი შეკითხვა დატუსაღებულ ბოლშევიკების მდგომარეობის შესახებ განხილულ იქნეს სასწრაფოთ.

პარლამენტი უარჰყოფს თარხანიანის წინადადებას.

განსახილველად ისმება კანონ-პროექტი— შავი ზღვის სანაპირო რკინის გზის დამთავრების შესახებ.

მომხსენებელი—ბ-ნი გობეჩია ურდგენს პარლამენტს გზათა კომისიის მოსაზრებებს ამ გზის შესახებ. აღნიშნავს, რომ მომავალ გზას ექნება დიდი პოლიტიკური და ეკონომიური მნიშვნელობა. გამოსთქვამს სურვილს, რათა შეცვლილ იქნეს გზის მიმართულება ქ. ზუგდიდის სასარგებლოდ. აღნიშნავს აგრეთვე, რომ ასეთ მიმართულებას მოითხოვს ხალხის ეკონომიური და რესპუბლიკის პოლიტიკური ინტერესები.

კრება გადადის კანონ-პროექტის მუხლობრივ განხილვაზე, რის შემდეგ პარლამენტი მას უცვლელად იღებს.

შემდეგ პარლამენტი გადადის—დამფუძნებელ კრების არჩევნებისა და ხარჯთ აღრიცხვის შესახებ დებულებათა განხილვაზე.

მომხსენებელია ბ-ნი ლომთათიძე.

ორატორი აღნიშნავს, რომ კომისიას უხდებოდა მუშაობა ცუდ პირობებში.

რა მასალით სარგებლობდა კომისია აღნიშნულ დებულებათა შემუშავების დროს? ამ კითხვაზე ორატორი უპასუხებს, რომ ერთადერთი მასალა, რომელიც კომისიას ხელთ ჰქონდა,—იყო რუსეთის დროებით მთავრობის საარჩევნო დებულებანი. სწორედ ამ მასალით ისარგებლა კომისიამ.

ამ დებულებათა მიხედვით, მთელი ტეხნიკური მხარე არჩევნების ორგანიზაციისა ევალებოდა ერობებსა და ქალაქის თვითმართველობებს. მომხსენებლის აზრით, ჩვენშიაც ამ ორ ორგანიზაციას უნდა დაეკისროს საარჩევნო საქმის მოწყობა. ხოლო იმ ალაგებში, სადაც ერობა ჯერ შემოღებული არ არის, საქმის ორგანიზაცია უნდა დაეკისროს ადგილობრივ რევოლიუციონურ კომიტეტებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შემდეგ მომხსენებელი აღნიშნავს, რომ კომისიის მიერ შემუშავებულ დებულებათა მიხედვით, ყოველ 19 წლის რესპუბლიკის მოქალაქეს ეძლევა საარჩევნო უფლება, ხმის მიცემის დროს ყოველ მოქალაქეს ევალება წარმოადგინოს მოწმობა პიროვნების ვინაობის შესახებ.

ჯარში მოსამსახურეთ ეძლევათ მხოლოდ პასიური საარჩევნო უფლება (ე. ი. მას შეუძლიან ამოირჩიოს, მაგრამ თვითონ არ აქვს უფლება, რომ ამორჩეული იყოს).

საადმინისტრაციო ნაწილში მოსამსახურეს, თუ ის მოხმობილია არჩევნების დროს წესრიგის დასაცავად, არ ეძლევა არც პასიური და არც აქტიური საარჩევნო უფლება.

მომავალი დამფუძნებელი კრების წევრთა რიცხვი კომისიას განუსაზღვრავს 130 კაცით.

რადგან პარლამენტის სხდომის დრო შესრულდა, საზოგადო კამათი მოხსენებულ საკითხის შესახებ გადაიდო შემდეგისათვის.

## ტფ. საგუბერნიო კომისარიატში

ერევანის პოლკის ძვირფასი ქონების დაბრუნება.

19 ოქტომბერს 1918 წ. ტფილისის საგუბერნიო კომისარიატში ჩამოზიდეს ურმებით სოფ. დიდ-თონეთში შეკრებილი რამდენიმე მილიონად ღირებული ძვირფასი ნივთები (რამდენიმე ფუთი ვერცხლეულობა და ვერცხლის „სამოვარი“, აზარფეშები, კათხები, ვაზები, ჯამები, დანა-ჩანგალ-კოვზები, ოქროს კოთხო და სხვა მრავალი) და საოჯახო ავეჯი, რომელიც მანგლისში მდგომს ყოფილს ერევანის პოლკს ეკუთვნოდა და პოლკის დაშლის შემდეგ მცხოვრებლებმა დააკავეს და სოფელში დაარიგეს... ხსენებული ძვირფასი ქონება მოზიდეს თვით სოფლელებმა ადგილობრივი რაიონის კომისრის კ. კვაჭაძის, ტფ. მაზრის კომისრის გომართლის, მაზრის კომისრის თანაშემწის ან. ქლენტის და სასოფლო კომისრის რწმუნებულის ვლ. კაკაბაძის ხელმძღვანელობით, რომელთაც თან ახლდა აგრეთვე სოფ. თონეთის მცხოვრებთა ორი დელეგატი, ამ ქონების მთავრობის ბინაზე გადაცემის დროს დასასწრებლად.

ეს ქონება რამდენიმე ხნის წინეთ სოფლელებმა დააკავეს, როდესაც ის მოჰქონდა პოლკის უფროსს არდიშვილს, რის გამოც დიდი განგაშია ატეხილი, მაგრამ ზემო აღნიშნულ პირთა—ბ-ნ კვაჭაძის, ქლენტის და კაკაბაძის მუყაითობა-მუშაობის და ახსნა-განმარტების შემდეგ გამოირკვა, რომ სოფელი მზათ იყო ყოველივე პოლკისეული ქონება გადაეცა საქართველოს მთავრობისათვის და იძულებითი დაკავებაც მოხდა იმისთვის, რომ ხალხი დაშლილ პოლკის აფიცრობას უნდობლობით უყურებდა, ვინაიდან, ხალხის აზრით, ზოგი მათგანი სახელმწიფო ქონებას ისაკუთრებდაო... ჩამორთმეული ქონება დაერიგებინათ ამ წესით: ვისაც მეტი შეძლება ჰქონდა მათთვის ძვირფასი ნივთი მიუბარებიათ, რომ მისი პასუხ-გება შესძლებოდა და პირველ მოთხოვნილებისათანავე წარმოედგინათ. აღნიშნული ქონებიდან, რომელიც ტფ. გუბერნიის კომისარ ბ. მაღლაკელიძის თავმჯდომარეობით შემდგარ კომისიის მიერ დაწვრილებით აწერილ-დანომრილი იქნა, ოქრო-ვერცხლეული ნივთები ორი დალუქული ყუთით იმავე დღესვე გაიგზავნა სადაც ჯერ არს შესანახად ხოლო დანარჩენი მოთავსებული იქნება შესაფერს საწყობში.

კომისიის მუშაობის დროს გამოცხადდა ხსენებული პოლკის უფროსი გენერალი არდიშვილი და მოითხოვა ძვირფასი ნივთების უმეტესობა მისთვის გადეცათ, რადგანაც განაცხადა, რომ ეს ქონება ჩემი და სხვა აფიცრების საკუთრებას შეადგენდაო.

ვინაიდან ნივთების უმეტესობას პოლკის საერთო ნიშნები და აგრეთვე შესაფერი საძღვნო წარწერები აღმოაჩნდათ, გუბერნიის კომისარმა ვერ სცნო თავი უფლება-მოსილათ აღნიშნული ქონების შესახებ აღძრული დავის გარჩევისა, მით უმეტეს მათი განაწილებისა, და ამისთვის გენერალ არდიშვილის თხოვნა არ დააკმაყოფილა. ასე რომ უმაღლესი მთავრობის მიერ ამ საქმის გამორკვევამდე ხსენებული ქონება ხელუხლებელი იქნება.

საერთოდ კი ამ პოლკის ქონების საქმის გამოსარკვევად მთავრობა ალბად სპეციალურს კომისიას დანიშნავს, რომელიც გამოარკვევს არა მარტო აღმოჩენილ და აქ მოტანილი ქონების კუთვნილება-ღირებულებას, არამედ იმ ქონებისასაც, რომელიც ჯერ კიდევ აღმოუჩენელია და ამისთვის შესაფერი ზომებიცაა მიღებული ანუ, რომელიც იქ, მანგლისში არის დარჩენილი აფიცერთა საკრებულოს თუ სხვა დაწესებულებათა სახით. ადგილობრივ მცხოვრებთა წარმომადგენელნი დაბეჯითებით მოითხოვენ გამორკვეული და ყოველ მხრივ გამონგარიშებული იქნეს თუ ამ ძვირფასი ქონებიდან რა ეკუთვნის კერძო პირებს და რა საქართველოს ხაზინას.

საადმინისტრაციო მთავრობას ხშირად სთხოვენ კერძო მესაკუთრენი თუ საწარმოვო დაწესებულებათა მეპატრონენი, რათა ადმინისტრატიული წესით აკრეფილი და ანაზღაურებული იქნას ძარცვა-დარბევით მიყენებული მათი ზარალი.

ვინაიდან გუბერნიის კომისარს საქართველოს რესპუბლიკის მთავრობისაგან ასეთი შემთხვევებისთვის არავითარი წესი არ ჰქონდა ნაჩვენები მიმართა შინაგან საქმეთა მინისტრს შესაფერი სახელმძღვანელო ზომების გამოსამუშავებლად.

## განცხადებანი

# წესდება

### კავკასიის საიმპორტო და საექსპორტო სააქციო საზოგადოებისა.

§ 59.

ყოველ აქციონერს უფლება აქვს დაესწროს ან პირადათ საზოგადო კრებას და მონაწილეობა მიიღოს კრების საგნების განხილვაში, ან ეს უფლება მიანდოს რწმუნებულს, რაიც უნდა შეატყობინოს გამგეობას წერილობით კრების დაწყებამდის სამი დღით ადრე. რწმუნებული თვითონაც უნდა აქციონერი იყოს. ერთ პირს შეუძლიან ჰქონდეს არა უმეტეს ორის რწმუნების ქაღალდისა. საზოგადო კრების გადაწყვეტილებაში მონაწილეობას იღებენ მხოლოდ ის აქციონერები ან მათი რწმუნებულნი, რომელთაც ხმის უფლება ექნებათ (§§ 60—62).

§ 60.

ყოველ ათ აქციას ეძლევა ხმის უფლება, მაგრამ ერთ აქციონერს არ შეუძლიან არც თავის აქციებით, არც სხვა აქციონერების რწმუნებით ჰქონდეს იმ ხმებზე მეტი, რომელზედაც უფლებას აძლევს $^{1}/_{10}$ საზოგადოების ძირითადი თანხისა. იმ აქციონერებს, რომელთაც ათ აქციაზე ნაკლები აქვთ, შეუძლიანთ საერთო რწმუნებით შეაერთონ თავიანთი აქციები, რათა მიიღონ ერთი ან მეტი ხმა, მაგრამ არა უმეტეს ზემოაღნიშნულისა.

§ 61.

სახელდებულ აქციების პატრონთ ხმის უფლება ეძლევათ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი ჩაწერილი არიან გამგეობის დავთრებში საზოგადო კრების დაწყებამდე 7 დღით მაინც ადრე. საზოგადო კრებაზე მონაწილეობის მისაღებათ ამ აქციონერებს შეუძლიანთ სახელდებული აქციები არ წარმოადგინონ.

უსახელო აქციების პატრონთ ხმის უფლება აქვთ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს აქციები წარდგენილია საზოგადოების გამგეობაში არა უგვიანეს 7 დღისა კრების დაწყებამდის და უკანვე არ არიან წაღებული კრების გათავებამდის. ნაცვლად ნამდვილ აქციებისა იმათს პატრონებს შეუძლიანთ შემოიტანონ მოწმობანი (ხელწერილი) შესახებ იმისა, რომ აქციები მიღებულია შესანახად ან გირაოდ სახელმწიფო ბანკში, ან ასეთ ადგილობრივ ან უცხო საკრედიტო დაწესებულებაში, რომელსაც აქვს მთავრობის მიერ დამტკიცებული წესდება, ან კიდევ ისეთს საბანკო სახლებში და დაწესებულებებში, რომელნიც არჩეულ იქნებიან საამისოდ აქციონერთა საზოგადო კრებაზე ფინანსთა მინისტრთან შეთანხმებით დამტკიცებულ იქმნებიან ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრის მიერ. მოწმობაში (ხელწერილში) უნდა აღინიშნოს აქციების ნუმრები. უცხოეთის საბანკო დაწესებულებანი, რომელთა მოწმობანი (ხელწერილები) შეიძლება მიღებულ იქმნენ ნაცვლად ნამდვილ აქციებისა, უნდა ჩამოითვალოს განცხადებაში შესახებ საზოგადო კრების მოწვევისა.

---

ქუთაისის ოლქის სასამართლოს უფროსი ნოტარიუსი აცხადებს, რომ 1918 წ. სექტ. 18 დამტკიცებულია ამა წლის მაისის 18 შედგენილი ნასყიდობის სიგელი, რომლითაც ტფილისის საადგილ-მამულო ბანკის გამგეობამ 5767 მან. 2 კაპ. მიჰყიდა ეფროსინე ვასილის ასულს ღლონტს მიწის ნაჭერი შენობით ქ. ფოთში, ეკლესიის ქ., № 34, ზომით 234 ოთხკ. საჟ. სიმტკიცის გადასახადათ მიღებულია 230 მ. 72 კ. მთავარი ამონაწერი 29 მ. ღირებულობის სალერბო ქაღალდზე მიცემულია ამა წლის სექტ. 18. 528 1—1

---

ქუთაისის ოლქის სასამართლოს უფროსი ნოტარიუსი აცხადებს, რომ 1918 წ. სექტ. 28 დამტკიცებულია ამა წლის სექტემბრის 24 შედგენილი ნასყიდობის სიგელი, რომლითაც ეკატერინე მიხეილის ასულმა შნეიდერმა 53.000 მან. მიჰყიდა ვლადიმერ იოსების ძე ზვიადაძეს მიწის ნაჭერი შენობით ქ. ქუთაისში ალექსანდრეს მეორე ქუჩის და უსახელო შესახვევის კუთხეში, ზომით 408 ოთხკ. საჟ. სიმტკიცის გადასახადათ მიღებულია 2.120 მ. მთავარი ამონაწერი 264 მან. ღირებულობის სალერბო ქაღალდზე მიცემულია ამა წლის სექტ. 28. 606 1—1

---

ქუთაისის ოლქის სასამართლოს უფროსი ნოტარიუსი აცხადებს, რომ 1918 წ. ივლისის 23 მის მიერ დამტკიცებულია 1917 წ. 30 ნოემბრის შედგენილი ნაჩუქრობის სიგელი, რომლითაც აქვს მოქალაქის რაჟდენ ყარამანის ძის დათეშიძისაგან მიცემული ელენე გერმანეს ასულს და მის შვილებს: ყარამანს, თამარას, ქეთევანს, ელისაბედს და მაგდანა რაჟდენის შვილსა და ასულებს დათეშიძეებს და რომლითაც მათ ნაჩუქარი აქვთ ნაჭერი მიწისა შენობებით, ქ. ქუთაისში, ტფილისის ქუჩაზედ მდებარე ზომით 567 ოთხ-კუთხი საჟ., 20,000 მან. დაფასებული. დასამტკიცებელ გადასახადათ გასტუმრებულია 300 მან. მთავარი ამონაწერი 100 მან. მთავარი ამონაწერი ღირებულ ღერბის ქადალდზედ მიცემული აქვთ ამა 1918 წლის 23 ივლისს. 769 1—1

---

ტფილისის ოლქის სასამართლოს უფროსი ნოტარიუსი აცხადებს, რომ 1918 წ. სექტ. 28 დამტკიცებულია ამა წლის სექტ. 12 შედგენილი ნასყიდობის სიგელი, რომლითაც გრიგოლ მელიტონის ძე წერეთელმა 3.000 მან. მიჰყიდა მელიტონ ისლამის ძე ნოდიას მიწის ნაჭერი შენობით ქ. ქუთაისში, ძველი ტფილისის ქუჩის პირველ შესახვევში, ზომით: აღმ.—7 საჟ. 2 არშ. 9 ვერშ., დასავ.—6 საჟ. 2 არშ. 6 ვერშ., ჩრდ.—13 საჟ 1 არშ., სამხ. —10 საჟ. 14 ვერშ. სიმტკიცის გადასახადათ მიღებულია 120 მან. მთავარი ამონაწერი 15 მან. ღირებულების სალერბო ქაღალდზე მიცემულია ამა წლის სექტ. 28. 607 1—1

---

ქუთაისის ოლქის სასამართლოს უფროსი ნოტარიუსი აცხადებს, რომ 1918 წ. სექტ. 20 დამტკიცებულია ამა წლის სექტ. 5 შედგენილი ნასყიდობის სიგელი, რომლითაც ნიკოლოზ პიმენის ძე გაბაშვილმა 42.000 მან. მიჰყიდა ბესარიონ სპირიდონის ძე ჯაფარიძეს მიწის ორი ნაჭერი შენობებით ქ. ქუთაისში, გაბაშვილის გორაზე, ზომით პირველი ნაჭერი 1780,67 ოთხკ. საჟ. მეორე—312,4 ოთხკ. საჟ. სიმტკიცის გადასახადათ მიღებულია 1680 მან. მთავარი ამონაწერი 210 მ ღირებულობის ღერბის ქაღალდზე მიცემულია ამა წლის სექტემბრის 20. 531 1—1

---

ტფილისის ოლქის სასამართლო ამითი აცხადებს, რომ მისის ამა 1918 წლის 23—30 სექტემბრის დადგენილებით ვაჭრობის მხრივ შეუძლებელ მოვალედ არის ცნობილი ამხანაგობა „ი. პ. მელიქ-ბახტამიანცი და ამხ.“— ამა ამხანაგობის წევრთა იაკობ ბალდასარის ძე მელიქ-ბახტამიანცისა და ანდრიას პატუაკანის ძის ბარხუდაროვის დასახელებით. ამის გამო დაწესებულებანი და მოხელენი ვალდებულნი არიან: 1) მოვალის უძრავს ქონებას ყადაღა დაადონ, ხოლო მოძრავი ქონება შეკრულად იცნონ, თუ მათს უწყებაში ასეთი ქონება მოიპოვება; 2) აცნობონ ოლქის სასამართლოს თუ ერგებათ რამე შეუძლებელ მოვალისაგან, ან იმათგან თუ ერგებათ რამე შეუძლებელს მოვალეს. კერძო პირნი ვალდებულნი არიან განუცხადონ ოლქის სასამართლოს: ა, რა ვალიც აძევს იმათი შეუძლებელს მოვალეს და რა ერგება იმათგან ამ უკანასკნელს, თუნდა ფულის გარდახდევინებისა ანუ გარდახდის ვადა ჯერ არ იყოს დამდგარი; ბ, აქვთ თუ არა რაიმე ქონება შეუძლებელ მოვალისა შესანახად ან გირაოდ მიღებული, ან იმისთვის მიცემული.

ეს განცხადება უნდა შემოტანილ იქნას ოთხის თვის განმავლობაში ამა განცხადების გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“-ში მესამედ დაბეჭდვის დღიდგან. 615 3—1

---

სოფიო გიორგის ასული ვორდიაშვილი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პასპორტი № 2294. მიღებული ტფილისის ყოფილი პოლიცეიმეისტერისაგან. 934 3—2

---

ტფილისის მიხეილის საავადმყოფოს სამეურნეო კომიტეტი იწვევს იმ პირთ, რომლებიც იკისრებენ მიცვალებულების დასაფლავებას. განცხადებები მიიღება ოქტომბრის ბოლომდე. პირობების გაგება და ცნობების მიღება შეიძლება საავადმყოფოს კანტორაში 10—12 ს. 796 2—1

---

ქუთაისის ოლქის სასამართლოს უფროსი ნოტარიუსი აცხადებს, რომ 1918 წ. ივლისის 31 დამტკიცებულია ამა წლის ივლისის 6 შედგენილი ნასყიდობის სიგელი, რომლითაც მაქსიმე იოსების ძე კოსტავამ 1500 მან. მიჰყიდა მათე იოსების ძე კოსტავას $^{2}/_{7}$ უფლება მიწის ნაჭერზე შენობებით ქ. ქუთაისში, ალექსანდრეს II ქუჩაზე, ზომით აღმოსავ.— 20 საჟ., დას.—18 საჟ., სამხრ.—12 საჟ. 12 ვერშ., ჩრდილ.—12 საჟ. 1 არშ. 4 ვერშ. სიმტკიცის გადასახადათ მიღებულია 60 მ. მთავარი ამონაწერი 7 მან. 50 კაპ. ღირებულობის სალერბო ქაღალდზე მიცემულია ამა წლის ივლისის 31. 773 1—1

---

ქუთაისის ოლქის სასამართლოს უფროსი ნოტარიუსი აცხადებს, რომ 1918 წლის აგვისტოს 7 დამტკიცებულია ამა წლის ივლისის 31 შედგენილი ნასყიდობის სიგელი, რომლითაც მოქალაქე ისხაკ აბრამის ძე ელიგულაშვილმა 35000 მან. მიჰყიდა სევერიანე მელიტონის ძე სვანიძეს და ვასილ სოკრატის ძე მარგველაშვილს მიწის ნაჭერი შენობებით ქ. ქუთაისში, მიხეილის ქუჩაზე, აღმ. და დას. —12 საჟ. 2 არშ. განით—აღმოს. დასავ.—5 არშ. 3 ვერშ. სხვაგან კი 5 არშ. და 5 ვერშ. სიმტკიცის გადასახადათ მიღებულია 1400 მან. მთავარი ამონაწერი 176 მან. ღირებულობის სალერბო ქაღალდზე მიცემულია ამა წლის აგვისტოს 7. 776 1—1

---

ქუთაისის ოლქის სასამართლოს უფროსი ნოტარიუსი აცხადებს, რომ 1918 წ. ოქტომბ. 17 დამტკიცებულია, ამა წლის სექტემბრის 9 შედგენილი ნასყიდობის სიგელი, რომლითაც კონსტანტინე და მიხეილ დავითის ძეთ, ვერა და ნადეჟდა დავითის ასულთ ჯუღელებმა 15000 მან. მიჰყიდეს კონსტანტინე ალექსანდრეს ძე ნემსაძეს მიწის ნაჭერი შენობებით, ქ. ქუთაისში, ბალახვანის ქ. შესახვევში, ზომით 50 ოთხკ. საჟ. სიმტკიცის გადასახადათ მიღებულია 600 მან. მთავარი ამონაწერი 75 მან. ღირებულობის სალერბო ქაღალდზე მიცემულია ამა წლის ოქტომბრის 17. 790 1-1

---

სოხუმის განყოფილების მომრიგებელი მოსამართლე 1918 წ. აგვისტოს 29 დადგენილების თანახმად, სისხ. სამარ. საქ. წარმ. მე-846 მუხ. ძალით ეძებს ქ. სოხუმის მცხოვრებს, სპარსეთის ქვეშევრდომს ხასან მელიქ-ოღლის, რომელსაც ბრალი ედება სასჯ. დებ. მე-169 მუხ. ძალით. ყველა, ვინც იცის სად ცხოვრობს ხასან მელიქ-ოღლი, ვალდებულია განუცხადოს სოხუმის მომრიგებელ მოსამართლეს. 419 3-1

---

დაიკარგა ტფილისის ქალ. თვითმართველობიდან მიღებული მოწმობა № 1758 მიხეილ კვაჰანტირაძის სახელზე პატენტის მისაღებად. 933 3—2

---

ამით ცხადდება, რომ ფულთან და ნივთებთან ერთად დაიკარგა ათასი მან. თამასუქი, ს. გ. შახნაზაროვას სახელზე მიღებული 1917 წ. 1 მარტს ივანე არტემის ძე ახვერდოვისაგან ვადით—1918 წ. 1 მარტამდის. ეს თამასუქი გაუქმებულად ითვლება. 932 3—

---

სახელმწიფო ბანკის სოხუმის განყოფილება ამითი აცხადებს, რომ დაკარგულად არის ცნობილი ამა ბანკიდან 1917 წლის 4 ნოემბერს მე-690 №-რით იოსებ ბეგოს ძის ადამიას სახელობაზედ გაცემული ბარათი, რომლითაც შესანახად მიღებული იყო „თავისუფლების სესხის“ ერთი 5 პროც. ობლიგაცია 5000 მან. თუ ხსენებული ბარათი ამ განცხადების დაბეჭდვის დღიდგან ორის კვირის განმავლობაში არ იქნა წარმოდგენილი ბანკის განყოფილებაში, იგი გაუქმებულად ჩაითვლება და იმის ნაცვლად პატრონს ახალი ბარათი მიეცემა. 767 1—1

---

დაკარგულია ტფილისის პირველ კერძო ლომბარდის ბილეთი № 77412, ასი მანეთისა. ვლადიმერ მილავიდოვის სახელზე მიღებული. 937 3—2

---

## სასწრაფოდ იყიდება

რუსეთში წასვლის გამო, გასტრონომიული მაღაზია „ალო“ ელისაბედის და გლდანის ქუჩის კუთხე. 941 3—1

---

# განცხადება.

25 ოქტომბერს საღამოს შვიდს საათზე მანგლისის სასაზღვრო შტაბის ეზოში № 77 ათვი აიშვა ცხენმა და წავიდა. ავშარა დატოვა. წაიღო ინგლისური უნაგირი ცხენის ნიშნები: საშუალო ტანათ, წითელი, თავზედ ხაზივით თეთრი, ზურგიც ცოტა გაფხეკილი უნაგირისგან.

მნახველს დიდათ ვსთხოვთ მოიყვანოს შემდეგი მისამართით: ჩერქეზიშვილის ქუჩა მანგლისის II სასაზღვრო შტაბი.

ცხენი ეკუთვნის საქართველოს რესპუბლიკის ჯარს. 949 1—1.

სტამბა საქართველოს მთავრობისა.

რედაქტორი პ. დ. საყვარელიძე.